საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რომელიც ბოქდ-ვეული სიფფაა, ფფიფლებით და ჭიანებით ბეჭ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

შაბათი, 26 ნოემბერი. 2016 წ. №221 (8112), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

უმცირესობამ გესლის ნთხვით გული იჯერა!

გუშინ პარლამენტში ჯერ კიდევ ნდობაგამოუცხადებელ მთავრობის წევრებთან შეხვედრისას ნაციონალურმა საპარლამენტო უმცირესობამ კიდევ ერთხელ გამოავლინა თავისი უბოროტესი სახე - უტიფრად გადმოანთხია თუ რამ გულში გესლი და შხამი ჰქონდა!

გიორგი კვირიკაშვილი უმადურების გასაგონად:

თქვენ არ გინდათ დაინახოთ, რა თანხებს ისდის ბიძინა ივანიშვილი ქვეყნის განვითარებისთვის!

②

⑤

კანონი მუქთახორებისა და თაღლითებისთვის,

ანუ დაკანონებული უკანონობა

ვის ჯიბეში მიდიოდა მილიონები?!.

2005-2008 წლებში 32 მილიონი დოლარი გაქრა, კერძოდ, სამხედრო ტექნიკის შესაძენად გათვალისწინებული. ასევე 8 მილიონი ევრო დაიკარგა სწორედ 2012 წელს სატანკო ნაწილების შესაძენად და ეს საქმეები ახლა პროკურატურაშია, — ამის შესახებ თავდაცვის მინისტრობის კანდიდატმა ლევან იზორიამ „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატების მიერ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობაზე დასმულ კითხვებზე განაცხადა.

როგორც ლევან იზორიამ ხაზგასმით თქვა, თანხები, რომლებიც გაქრა, მიემართებოდა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების ჯიბეში.

— მინდა, ერთი ფაქტი იცოდეს საზოგადოებამ, შეიძლება, ზოგიერთმა თქვენგანმა ამის შესახებ არ იცით, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ უშიშროების საბჭოს ყოფილ მდივანს ამაზე ინფორმაცია ექნება, თუ არა აქვს, სამწუხაროა. თქვენი ხელისუფლების პირობებში, 32 მილიონი დოლარი გაქრა 2005-2008 წლებში, კერძოდ, სამხედრო ტექნიკის შესაძენად გათვალისწინებული, ასევე ბატონო გიგა ბოკერია, თქვენ საყურადღებოდ ვამბობ, რადგან თქვენ იყავით პასუხისმგებელი პირი. 8 მილიონი ევრო დაიკარგა სწორედ 2012 წელს სატანკო ნაწილების შესაძენად. ეს საქმეები პროკურატურაშია, თქვენ შეგიძლიათ გამოითხოვოთ. საჯაროდ ვამბობ, რადგან მოსახლეობამ უნდა იცოდეს, როგორ ზრუნავდით მათ თავდაცვისუნარიანობაზე. მოდით, ყველამ ვთქვათ, სად მიემართებოდა ეს თანხები. ეს თანხები მიემართებოდა თქვენს ჯიბეში. წინასაარჩევნო კამპანიაც შემიძლია ვივარაუდო, რომ სწორედ ამ თანხებით ფინანსდებოდა. ეს ყველაზე დიდი უპასუხისმგებლობა, როდესაც ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას ასუსტებს, როდესაც შედეგად გაქვს დაკარგული ტერიტორიები და როდესაც ხალხს უნდა უთხრათ ამის შესახებ, — განაცხადა იზორიამ.

დე, იცოდეს ისტორიამ!!! ⑧

დედა-უნივერსიტეტში ძნელბედობის ჟამი გრძელდება





მის სიმღერებს ქუჩაში მღეროდნენ

გელა ქოქიაშვილი ⑥



გიორგი კვირიკაშვილი: არ ვაპირებ იმ რუტინის გაგრძელებას, რომელშიც აქამდე ვიმუოფებოდით

მინდა, სრული პასუხისმგებლობით ვთქვა, რომ ყველა სიტყვა, რომელიც მე ვთქვი ეხებოდა აფხაზეთს პირველ რიგში და ეხებოდა ცხინვალის რეგიონს და სამაჩაბლოს, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრობის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი კვირიკაშვილმა პარლამენტში ფრაქცია „პატრიოტთა ალიანსთან“ შეხვედრაზე განაცხადა.

„ყველაზე მთავარი გამოწვევა გახლავთ სამუშაო ადგილების შექმნა და ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისთვის სიღარიბის დაძლევა. მინდა, სრული პასუხისმგებლობით ვთქვა, რომ გათავისებული მაქვს ის პასუხისმგებლობა, რომელიც მე პირადად და ამ კაბინეტს ეკისრება, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ძვრების განხორციელების კუთხით.

ჩვენი ქვეყანა უნდა ვაქციოთ მიმზიდველ ქვეყნად და უნდა ვეცადოთ, დავათბოთ ურთიერთობა. ამ ურთიერთობის დათბობას დასჭირდება საკანონმდებლო ცვლილება თუ დასჭირდება უფრო მეტი დაახლოება ადამიანებს შორის, ყველაფრისთვის უნდა ვიყოთ მზად. ერთადერთი, რასაც ჩვენ ვერ გავაკეთებთ, ვერანაირი კომპრომისი ვერ იქნება, ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის კუთხით. დანარჩენი ყველაფრისთვის მზად ვართ. ჩვენ გვაქვს არაერთი საინტერესო წინადადება. მე ვარჩიე, რომ მესაუბრა ეკონომიკურ განვითარებაზე მეტი, სხვათა შორის, ყურადღება დავუთმე ადამიანის უფლებებს და ინსტიტუციურ განვითარებასაც, თუმცა ეს ფორმატი არ ითვალისწინებს იმ დეტალებზე საუბარს, რომელზეც ჩვენ ძალიან ბევრს ვმუშაობთ“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

საპენსიო რეფორმა არ გულისხმობს არსებული საპენსიო სისტემის გაუქმებას!

 პრემიერობის კანდიდატის გიორგი კვირიკაშვილის განმარტებით, ახალი საპენსიო პროექტი გულისხმობს სავალდებულო შენატანებზე დაფუძნებულ საპენსიო სისტემას, რომელიც არავითარ შემთვევაში არ გულისხმობს არსებული საპენსიო სისტემის გაუქმებას.

„არსებული საპენსიო სისტემა და მინიმალური სოციალური უზრუნველყოფა, აუცილებლად შენარჩუნდება. ეს არის დამატებითი შრე გაჩენილი საპენსიო სისტემაში, რათა მომავლის პენსიონერები არ იყვნენ დამოკიდებული მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტზე და მათი საპენსიო უზრუნველყოფა დამოკიდებული იყოს მათი ნამსახურები წლების და გამომუშავებული თანხის ოდენობაზე. ეს სისტემა მოითხოვს ძალიან მნიშვნელოვან საკანონმდებლო და ინსტიტუციურ რეფორმებს“, — აღნიშნა კვირიკაშვილმა

სამხედრო სტრუქტურაში დაგეგმილი რეფორმა დაგვაახლოებს ნატოსთან!

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, დაგეგმილია სამხედრო სტრუქტურული რეფორმა, რომელიც დაგვაახლოებს ნატოს სტანდარტთან.

— ჩვენ დაგეგმილი გვაქვს ძალიან მნიშვნელოვანი სამხედრო სტრუქტურული რეფორმა და ეს რეფორმა კიდევ უფრო დაახლოებს ჩვენს სტანდარტებს ნატოს სტანდარტებთან და უმნიშვნელოვანესია, რომ გარდა თავსებადობისა, ეს რეფორმა მიმართულია ჩვენი ქვეყნის შიდა თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაზე. თავდაცვის მინისტრს ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი გეგმები აქვს და დიდი მხარდაჭერა სჭირდება, რომელიც გააჩნია კიდევაც ქვეყნის უმაღლესი პოლიტიკური დონიდან, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

მინისტრებთან ასეთი საუბარი არ შეესაბამება ჩვენი შეხვედრის ფორმატს!

მინისტრებთან ასეთ რაკურსში საუბარი, რომ თქვენ აუცილებლად ციხეში უნდა იჯდეთ, არ შეესაბამება ჩვენი შეხვედრის ფორმატს, — ასე მიმართა პრემიერ-მინისტრობის კანდიდატმა გიორგი კვირიკაშვილმა „პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენელს, ვიცე-სპიკერ ირმა ინაშვილს.

„თუ თქვენ გაქვთ რაიმე დასაბუთებული პრეტენზია, არსებობს შესაბამისი ინსტიტუციები. ჩვენ მზად ვართ, ნებისმიერ შეკითხვას, მათ შორის ჩემი კაბინეტის წევრი მინისტრობის კანდიდატები, გავცეთ პასუხი“, — აღნიშნა კვირიკაშვილმა.

ირმა ინაშვილმა პარლამენტში, ფრაქციასთან შეხვედრისას, მინისტრობის რამდენიმე კანდიდატს მიმართა, რომ ციხეში უნდა ისხდნენ.

ტექდათვალიერების შემოღება უნდა იყოს მინიმალურად მტკივნეული მოსახლეობისთვის

ტექდათვალიერება, გაუმჯობესებული სტანდარტები ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე, უნდა იყოს მინიმალურად მტკივნეული მოსახლეობისთვის, ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრობის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი კვირიკაშვილმა პარლამენტში ფრაქცია „პატრიოტთა ალიანსის“ წევრებთან შეხვედრაზე განაცხადა.

„ჩვენ ვგეგმავთ გარკვეული ზომების გატარებას, ეს იქნება, რა თქმა უნდა, ტექდათვალიერება, გაუმჯობესებული სტანდარტები ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე, თანდათანობითი დანერგვა, რათა ეს იყოს მინიმალურად მტკივნეული მოსახლეობისთვის. დამეთანხმებით, რომ იმ პრაქტიკით, რომელიც მიღებულია ევროპის ქვეყნებში, ამის განხორციელება აუცილებელია, რათა ცხოვრების ხარისხი ჩვენს ქვეყანაში გავაუმჯობესოთ“, — აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

თქვენ არ გინდათ დაინახოთ, რა თანხებს იხდის ბიძინა ივანიშვილი ქვეყნის განვითარებისთვის!

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, ბიძინა ივანიშვილი ქვეყანაში დიდ კონტრიბუციას ახორციელებს, — ამის შესახებ პრემიერობის კანდიდატმა უმცირესობასთან შეხვედრისას განაცხადა.

„რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილის დაპირებებს, რომ ის ჯიბიდან გადაიხდის ფულს. არ ვიცი, ალბათ, თქვენ არ გინდათ დაინახოთ, თუ რა თანხებს იხდის ბიძინა ივანიშვილი ჯიბიდან ქვეყნის განვითარებისთვის „ქართუ“ ბანკის მეშვეობით. მე მოგიწოდებთ, რომ მოიკითხოთ ეს ინფორმაცია, თუ რა ხდება „ქართუ“ ფონდის საქმიანობის მიმართულებით, რა პროექტებს აფინანსებენ, როგორც კულტურული მემკვიდრეობების მიმართულებით, ასევე ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მშენებლობის და ა.შ. თუ ამ ინფორმაციას მოიკითხავთ, დარწმუნდებით, რომ ის ადამიანი ძალიან დიდ კონტრიბუციას აკეთებს ქვეყნის განვითარებაში. ეს არ არის ჩემი საქმე, რომ ღრმად წავიდე, მაგრამ დამერწმუნებით, რომ შეიძლება თქვენც კი გაკვირვებული დარჩეთ. მგონია, რომ ეს ყველაფერი იცით, მაგრამ აკეთებთ იმას, რომ გინდათ თეთრზე შავი თქვათ, მაგრამ რა ვქნათ... ეს არის თქვენი ფუნქცია, თქვენ ოპოზიცია ხართ და ამის უფლება გაქვთ“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

არც პენსიების ზრდას ვაპირებთ 2017 წლის ბიუჯეტით და არც ტყვილების თქმას!

უმცირესობის სხდომაზე პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ **2017 წლის ბიუჯეტით პენსიების ზრდა არ იგეგმება.** პრემიერის თქმით, 2018 წლიდან საპენსიო რეფორმასთან ერთად შეიცვლება პენსიების ზრდის წესი და ის ინფლაციის მაჩვენებლის პარალელურად გაიზრდება.

თინა ხიდაშელმა ეთიკა ბევრჯერ დაარღვია!

გიორგი კვირიკაშვილი პარლამენტში სავალდებულო სამსახურთან დაკავშირებით დასმულ იმ შეკითხვას პასუხობს, რომლის მიხედვითაც თინა ხიდაშელმა სავალდებულო სამსახური გააუქმა, ახლა კი მის აღდგენაზე საუბრობენ. კვირიკაშვილის თქმით, ეს იყო „ნაჩქარევი“ გადაწყვეტილება.

„თინა ხიდაშელმა განცხადება პირდაპირ ეთერში გააკეთა, ჩემდა სამწუხაროდ, ამდენი ხანი საჯარო კრიტიკისგან თავს ვიკავებდი, გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ ერთი კაბინეტის წევრები ვიყავით. სამწუხაროდ, მისი მხრიდან ეს ეთიკა ბევრჯერ იქნა დარღვეული, მე შეიძლება ბევრჯერ გული მეტკინოს, მაგრამ არა უშავს, პოლიტიკაში გულის ტკენა არ არის მნიშვნელოვანი. ამიტომ, კიდევ ერთხელ ვამბობ, ის გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, იყო გრძელვადიან სტრატეგიასთან შესაბამისობაში, რომელიც ჩვენ ერთად გვაქვს დამტკიცებული, მაგრამ იყო მოუმზადებელი იმ დროსა და სივრცეში, როცა ეს იქნა მიღებული...

საქართველოს შეიარაღებულ ძალებს 460 სამხედრო მოსამსახურე შეემატა

საქართველოს შეიარაღებულ ძალებს 460 სამხედრო მოსამსახურე შეემატა. რეკრუტების ფიცის დადების ცერემონიალი „უფროსი სერჟანტი ზაზა ფერაძის სახელობის საწყისი საბრძოლო მომზადების ცენტრში“, ალგეთის საწვრთნელ ბაზაზე გაიმართა.

ღონისძიებას საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე ნუკრი გელაშვილი და გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი შალვა ჯაბახიძე დაესწრნენ.

ფიცის მიღებამდე რეკრუტებმა საქართველოს ჰიმნი შეასრულეს და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ხსოვნას წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს.

პროგრამა — „აწარმოე საქართველოში“ მომავალშიც გაგრძელდება!

მთავრობა სახელმწიფო პროგრამების — „აწარმოე საქართველოში“, „მიკრომეწარმეობა“ და სხვა მნიშვნელოვანი პროგრამების დაფინანსებას მომავალშიც გააგრძელებს.

„ძალიან აქტიურები ვიქნებით ჩვენი ქვეყნის მარკეტინგში, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებაში. მუდმივად ორიენტირებული ვიქნებით ეფექტურობის ზრდაზე. რეალობიდან გამომდინარე, მაქსიმალური ეფექტის მისაღებად შევცვლით და მოვერგებით მოცემულობას,“ — განაცხადა ფინანსთა მინისტრობის კანდიდატმა დიმიტრი ქუმსიშვილმა პარლამენტის კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე.

ჯანდაცვის სამინისტრო ცვლილებებს გეგმავს

ჯანდაცვის მინისტრობის კანდიდატ დავით სერგეენკოს განცხადებით, უწყებაში სერიოზული ცვლილებები იგეგმება. მისი თქმით, არსებული გეგმა მთავრობის ოთხპუნქტიანი სამოქმედო გეგმის ნაწილია.

„ძირითადი ცვლილებები რამდენიმე მიმართულებით იქნება განხორციელებული. პირველი, ეს არის უზრუნველყოფა უფრო მიწვდომადი და ხარისხიანი ჯანდაცვის. მეორე – ეს არის მედიკამენტების კომპონენტზე მიწვდომადობის გაძლიერება და მესამე – სამედიცინო დახმარების სერვისების განფასების ახალი ინტეგრალური სისტემის დანერგვა“, – განაცხადა სერგეენკომ. მისივე თქმით, გარკვეული ცვლილებები შეეხება ასევე, საყოველთაო დაზღვევასაც.

„ამ მიმართულებით მთავარი ამოცანაა, რომ უზრუნველყოფილი იყოს მისი მდგრადობა და გამოყენებული იყოს ახალი მიდგომები, რომელიც სამედიცინო დახმარებას უფრო ხარისხიანს და უფრო მიწვდომადს, მეორე მხრივ, კი უფრო ხარჯთეფექტურს გახდის“, – დასძინა მინისტრობის კანდიდატმა.

„ნდობის ჯგუფი“ და უშიშროება...

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთ ლიდერს გია ვოლსკის არ მიაჩნია სწორად ემზარ კვიციანის გარშემო „ამხელა სკანდალური ატმოსფეროს შექმნა“. ვოლსკი ამბობს, რომ იმ ადამიანებში, ვინც „ნდობის ჯგუფში“ არის გაერთიანებული, უშიშროებამ უფრო ღრმად უნდა ჩაიხედოს:

„იმსახურებს თუ არ იმსახურებს, ჯერ ამ საკითხთან დაკავშირებით არავინ არაფერი იცის. თუ რამე კონკრეტულია ბრალდებები ამ კაცის მიმართ, უნდა დააყენონ. მე მის ადვოკატობას არ ვაპირებ. არც მას და არც „ნაციონალურ მოძრაობას“ მე მაგალითად დიდი ნდობის კრედიტს ვერ მივცემ, მაგრამ ეს არის პოლიტიკური პლატფორმა, რომელიც მე გამაჩნია. ვფიქრობ, უშიშროებამაც უფრო ღრმად უნდა ჩაიხედოს იმ ადამიანებში, ვინც ამ „ნდობის ჯგუფში“ არის გაერთიანებული“...

◎ გმადლობთ!

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ მერაბ ჭანუყვაძეს

პატივცემულო მერაბ!

უღრმეს მადლობას გიხდით პირადად თქვენ და ოზურგეთის მთელ საზოგადოებას ჩემი არჩევისთვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქედ.

ეს ჩემთვის უდიდესი პატივია.

მიუხედავად იმისა, რომ მე დავიბადე ქ. თბილისში, ოზურგეთი და, კერძოდ, ლიხაური თავისი კვაჭალათით მიმაჩნია ჩემს უსაყვარლეს სამშობლოდ, სადაც დაიბადა და ცხოვრობდა მამაჩემი უჩა სალუქვაძე, დაიბადნენ და ცხოვრობდნენ ჩემი წინაპრები დიდი ექვთიმე თაყაიშვილის მეზობლად.

კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას, მზად ვარ გემსახუროთ.

პატივისცემით,
აკადემიკოსი
მინდია სალუქვაძე.
2016 წ.

ქარს გაეატანეთ დიდი შოთას საიუბილეო წელი!

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ღვთაებრივი ჰომეროსის სიდიადის ქართველი მგოსნის, ქართული მიწის გენიალური შვილის შოთა რუსთაველის 750 წლის იუბილე იუნესკოს ძალისხმევით მსოფლიომ აღნიშნა. მაშინ ეს იოსებ სტალინის ძალისხმევით მოხდა.

დიდი პოეტის 800 წლისთავი მეც და ჩემს თაობელებს კარგად გვახსოვს. რა მასშტაბური იყო იუბილე, იგი ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, ასევე მსოფლიოში პოეზიის ზეიმად იქცა, რა თქმა უნდა, პოეტის სამშობლომ ღირსეული პატივი მიაგო ერის სათაყვანო შვილს.

და აი, ღმერთმა ინება და 850 წლისთავს მოვესწარით. ფრიად საამაყო დღესასწაულის მომსწრენი უნდა გავმხდარიყავით, ღირსეულად გვედღესასწაულა, იუნესკო რომ თავის დროზე გაგვეფრთხილებინა, მაგრამ?

ჩვენდა სავალალოდ, ქვეყნის საოცნებო ხელისუფლებამ და კულტურის მინისტრმა საამისოდ ვერ მოიცალეს... ერის საუნჯე, სულიერი საგანძური არც კი გახსენებიათ!

არადა, როგორც წესი, თავის დროზე უნდა შექმნილიყო სამთავრობო კომისია ქვეყნის პირველი პირის თავმჯდომარეობით და ჩატარებულიყო შესაბამისი ღონისძიებები.

ერთადერთი გაზეთია „საქართველოს რესპუბლიკა“, რომელიც რუსთაველის საიუბილეო მასალებს უხვად ბეჭდავს. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა პოპულარული კვლევა, ისტორიული ნარკვევი „შვიდ სამეფოდ განწესებული“ ექსკლუზიურად დაბეჭდა ამ გაზეთში. ახლახან კი რუსთაველის ეპოქის ეს მატიანე ცალკე წიგნად გამოვიდა...

მთავრობამ კი ქარს გაატანა დიდი რუსთაველის საიუბილეო წელი, მას ალბათ მომავალი ნახევარი საუკუნის შემდეგ ღირსეულად აღნიშნავენ, მაგრამ ჩვენმა დღევანდელობამ რა დააშავა?!

გივი ჯახუა,
საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, დ. კლდიაშვილის, ს. მესხისა და მწერალთა კავშირის პრემიების ლაურეატი, რუსთავის საპატიო მოქალაქე.

◎ დედაქალაქის ბიუჯეტი

თბილისის ბიუჯეტის „შიგთავსი“

– ძალაძს ძალიან ბევრი საჭიროება აქვს და, შეზღუდული ფინანსური რესურსების პირობებში, ჩვენი მთავარი ამოცანაა 800 მილიონი ლარის თანაბრად განაწილება, – განაცხადა თბილისის მერმა დავით ნარმანიამ საკრებულოში დედაქალაქის მომავალი წლის ბიუჯეტის წარდგენისას.

2017 წლის თბილისის ბიუჯეტის პრიორიტეტულ მიმართულებებად ბატონმა ნარმანიამ კვლავ ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა, ქალაქის გამწვანება, არსებული მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განახლება და ახლის აგება, ასევე ამორტიზებული მრავალსართულიანი სახლების გამაგრება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ავტოპარკის განახლება, მეტროს რამდენიმე სადგურის მოდერნიზება დაასახელა. მერის თქმით, გარდა ამისა, მეტად მნიშვნელოვანია ისიც, რომ გაისად მერიის ადმინისტრაციული ხარჯი 10 მილიონი ლარით შემცირდება.

როგორც ცნობილია, 2017 წლის თბილისის ბიუჯეტი 800 მილიონ 270,5 ათასი ლარია, რაც წლევანდელი ბიუჯეტის მოცულობაზე 47 მილიონი ლარით ნაკლებია. მარტო ეს გარემოება საკმარისი იქნებოდა საიმისოდ, რომ საკრებულოს დეპუტატებში ამის თაობაზე აზრთა სხვაობა გაჩენილიყო: ოპოზიციის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ ბიუჯეტი „ქართული ოცნების“ ინტერესებსაა მორგებული, მმართველი ძალის წარმომადგენელთა აზრით კი ბიუჯეტი, შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ოპტიმალურადაა შედგენილი.

რაც შეეხება ბიუჯეტის პროექტის ძირითად მახასიათებლებს, **ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობის, ექსპლუატაციისა და ავარიული შენობების გასამაგრებლად** 148,25 მილიონი ლარია გამოყოფილი, რაც 34, 2 მილიონი ლარით ნაკლებია წლევანდელ ინდიკატორ მაჩვენებელთან შედარებით. კანონპროექტში აღნიშნული შემცირება იმითაა განპირობებული, რომ 2016 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო 2015 წლის 13-14 ივნისს სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებათა დაფინანსებაზე გამოყოფილი 15 მილიონ ლარზე მეტი. გარდა ამისა, წლეულს თბილისის განვითარების ხელშეწყობისთვის გათვალისწინებული იყო 46 მილიონი ლარი, ხოლო გაისად ამ მიზნისთვის მხოლოდ 27,4 მილიონი ლარი დაიხარჯება. დედაქალაქის განვითარების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში მერია გააგრძელებს ისტორიულ-კულტურული ძეგლებისა და შენობების აღდგენის დაფინანსებას. მომავალი წლის თბილისის ბიუჯეტის პროექტის თანახმად, ავარიული 34 შენობის სარეაბილიტაციოდ 20 მილიონი ლარი იქნება გამოყოფილი. ამასთან, 7 მილიონ ლარზე მეტი გამოიყოფა წყალარინების ქსელების, ხიდებისა და გვირაბების შესაკეთებლად, ასევე მახათას მთაზე საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეთა პანთეონის მოწყობაზე.

დედაქალაქის **სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის აღდგენა-განვითარებაზე,** ბიუჯეტის პროექტით, გათვალისწინებულია 147,7 მილიონი ლარის გამოყოფა, რაც დაახლოებით 29,47 მილიონი ლარით ჭარბობს წლევანდელ საკონტროლო მაჩვენებელს და, ძირითადად, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ავტოპარკის განახლებითაა განპირობებული, რა მიზნითაც 20,85 მილიონი ლარი დაიხარჯება. ამაში, კერძოდ, შედის, მეტროპოლიტენის ათი ვაგონის მოდერნიზება, 20 ვაგონის საშუალო დონისა და 30 ძრავის შეკეთება. ორი მეტროს სადგურის –„ავლაბრისა“ და „სარაჯიშვილის“ რეკონსტრუქცია ბიუჯეტის 10,6 მილიონი ლარი, სამანქანო გზების რემონტი – 85 მილიონი ლარი, ხოლო ახალი ავტობაზისა და გაზგასამართი სადგურის მშენებლობა – 20,75 მილიონი ლარი დაუჯდება.

თბილისში არსებული **ეკოლოგიური მდგომარეობის** გაუმჯობესებას გაისად თითქმის 72 მილიონი ლარი მოხმარდება. კერძოდ კი, გამწვანების ღონისძიებებისთვის 16 მილიონი ლარი, ხოლო დასუფთავებისთვის 51 მილიონი ლარია გამოყოფილი. ბიუჯეტის პროექტით, ბოტანიკური ბაღისა და ზოოპარკის განვითარებისთვის მერია დაახლოებით 5 მილიონი ლარის დახარჯვას გეგმავს. გაისად ასევე ვარაუდობენ ვერეს ხეობისა და მზიურის პარკის სარეაბილიტაციო ზონების მოწყობისთვის ხარჯის გაწევას.

ჯანმრთელობის დაცვისა და **სოციალური უზრუნველყოფისთვის** გაისად 180, 28 მილიონი ლარის გამოყოფაა დაგეგმილი, რაც 30 მილიონი ლარით ოდნავ მეტით ნაკლებია წლევანდელ საპროგნოზო მაჩვენებელზე. აღნიშნული კლება, მერიის განმარტებით, კომუნალური სუბსიდირების შემცირებითაა განპირობებული, რაც, თავის მხრივ, სუბსიდირების წესების ცვლილებებითაა განპირობებული. მათ შორის, ჯანდაცვის პროგრამებისთვის გამოყოფილია 41,77 მილიონი ლარი, მათ შორის გრძელდება 18 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის სოციალური დაცვის ქვეპროგრამები.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების მიზნით, 2017 წლის დედაქალაქის ბიუჯეტის პროექტის თანახმად, 30,87 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება. პროექტის თანახმად, მერია ყველა რაიონის გამგეობას გამოუყოფს ბიუჯეტს მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ამხანაგობების წევრთათვის საერთო სარგებლობაში არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის, განახლებისა და შენარჩუნების შესაძლებლობის შესაქმნელად. კონკრეტულად ეს ეხება ლიფტებისა და სახურავების, წყლისა და კანალიზაციის გაყვანილობების, სადარბაზოების შეკეთებას, პანდუსების დამონტაჟებასა და სხვა.

განათლების სისტემის საჭიროებაზე გათვალისწინებულია ბიუჯეტიდან 110,55 მილიონი ლარის გაღება, რაც წლევანდელ მაჩვენებელზე 3,7 მილიონი ლარით მეტია. ეს, უმეტესწილად, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის აღდგენითი სამუშაოებისთვის დამატებითი სახსრების გამოყოფითაა განპირობებული, რა მიზნებისთვისაც მილიონ ლარზე მეტია გათვალისწინებული. გარდა ამისა, გაიზრდება განათლების ორი – პედაგოგთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა, თითოეულზე კი 500-500 ათასი ლარი დაიხარჯება. მნიშვნელოვანია ასევე დედაქალაქის 166 საბავშვო ბაღის შენახვის ხარჯი – დაახლოებით 95 მილიონი ლარი. თანაც გაისად დედაქალაქში მწყობრში კიდევ 8 საბავშვო ბაღი ჩადგება, ხოლო კიდევ ცხრის მშენებლობა დაიწყება.

თბილისის მერიის ხარჯი **კულტურაზე, სპორტსა** და **ახალგაზრდობის** საქმეებზე 28, 27 მილიონ ლარს შეადგენს, რაც 886 ათასი ლარით ნაკლებია წლევანდელთან შედარებით. აღნიშნული გარემოება იმითაა განპირობებული, რომ გაუქმდება კულტურულ ღონისძიებათა ცენტრი, რომლის ფუნქციებს კულტურის საქალაქო სამსახური შეითავსებს. რაც შეეხება სპორტულ ღონისძიებებს, ბათუმში ჩასატარებელ ჭადრაკში მსოფლიო გუნდური ჩემპიონატის მოსამზადებელი სამუშაოებისთვის გამოიყოფა 1,5 მილიონ ლარზე მეტი.

რაც შეეხება ბიუჯეტის დანარჩენ ცვლილებებს, მათი მასშტაბი გაცილებით მცირეა.

ოთარ ტურაბელიძე

ეროვნული

ELLI STI
ELLI
ELENE
ELENE
ELENE

კანონი მუქთახორებისა და თაღლითებისთვის, ანუ დაკანონებული უკანონობა

— შუბლს და ძარღვს კოდექსი არ ითვალისწინებს!

— ესე იგი, მაგ მშრალი კოდექსის გარდა, მორალური კოდექსი აღარ არსებობს?

— ამ კოდექსს დიდი მორალისა და ზნეობის ადამიანები ქმნიდნენ და ამ კოდექსში, ცოტ-ცოტა ყველაფერია გათვალისწინებული.

როდესაც საქართველოს მეცხრე მოწვევის პარლამენტმა მუშაობა დაიწყო და პირველი შეხვედრები გაიმართა, ნოდარ დუმბაძის ცნობილი რომანიდან ზაზა ნაკაშიძისა და გამომძიებელ გაგუას დალოგის ეს ფრაგმენტი გამახსენდა.

გამახსენდა იმიტომ, რომ პირველივე დღეებში ნათლად გამოჩნდა ის უამრავი საზიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხი, რომლებიც აუცილებლად შესაცვლელია.

ის, თუ რაც უქნეს კონსტიტუციას ნაცების მთავრობის წარმომადგენლებმა, ძალიან კარგად ვიცით. მათ ისე შეცვალეს არა მხოლოდ უმაღლესი კანონი, არამედ ყველა საკანონმდებლო აქტი, რომ ადამიანის წამებაში, საბიუჯეტო თანხების უკანონოდ განკარგვაში, უამრავ სხვა დანაშაულში ბრალდებული ადამიანები, ან საერთოდ გათავისუფლდნენ სისხლის სამართლებლივი დევნისგან, ან არაადეკვატურად მცირე სასჯელები მიიღეს.

რა თქმა უნდა, საზოგადოება ამ ყველაფერს ძალიან განიცდიდა. ღელავდა და საკმაოდ მწვავე და ხისტ განცხადებებსაც აკეთებდა, მაგრამ პასუხად მუდამ ისმოდა ფრაზა: კანონის ძალით ეგრეა და სხვა გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია!

ახალი პარლამენტის პირველსავე დღეებში გამოჩნდა რამდენიმე ისეთი საკითხი, რომლებიც სასწრაფო წესით განხილვას და შეცვლას მოითხოვს. მოდით და ცალ-ცალკე ვნახოთ თუნდაც ამ კვირის განმავლობაში წამოტივტივებული საჭირბოროტო თემები.

პირველი და აუცილებლად შესაცვლელი საკითხი ე.წ. კვალიფიციური პარტიების სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების წესია!

ეს წესი არანაირ მორალურ თუ ზნეობრივ კოდექსში არ ჯდება. არ ჯდება, რადგანაც ყველამ კარგად ვიცით ქართული პოლიტიკური სპექტრის საქმიანობის შესახებ. აქ არ ჩამოვთვლი იმათ „დამსახურებებს“ და არ ვისაუბრებ იმაზე, რომ მათი „მოღვაწეობა“ მშენებარე ქართული დემოკრატიის მთავარი მაჩვენებელია.

როგორი ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებიც არ უნდა თქვას გიორგი ახვლედიანმა, რომ პარტიების ბიუჯეტიდან დაფინანსება პოლიტიკური ცხოვრებისთვის აუცილებელია, როგორი განცხადებებიც არ უნდა აკეთონ კახა კუკავამ და მამუკა კაციტაძემ ე.წ. „ოპოზიციური სპექტრის გაერთიანებაზე“, რომლის შექმნაც ერთი კვირის წინათ დაანონსდა და დღეს უკვე განხეთქილებაა, როგორი ყალბი პარტიებიც არ უნდა შექმნან გიგი წერეთელმა და შოთა მალაშხიამ ნაცებთან ერთიან ბლოკში გაერთიანების და შემდგომში დაფინანსების მიღების გამო (საცარია, მაგრამ ამ ჟელატინის მსგავსმა გიგი წერეთელმა პირდაპირ აღიარა, რომ სწორედ ბიუჯეტიდან ფულის მიღების გამო შეიქმნა პარტია „ევროპული საქართველო“) და გახმიანდეს მრავალი სხვა სისულელე, ამ არჩევნებმა ნათლად გვაჩვენა, რომ პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა ჩვეულებრივი მუქთახორები და თაღლითები არიან.

დავიწყებ იმით, რომ ბიუჯეტიდან მიღებული თანხების ხარჯვა, აბსოლუტურად გაუმჭვირვალეა და არავინ იცის, თუ სად მიდის ჩვენგან გადახდილი ფული, რომელიც წესით ქვეყნის მასშტაბით ოფისების გახსნაზე, სხვადასხვა სახის საინფორმაციო მუშაობის წარმოებაზე (ბუკლეტების, ბროშურების თუ საინფორმაციო ფურცლების ბეჭდვა), სხვადასხვა სახის კვლევებსა და შედეგებით შესაბამისი პროგრამების შემუშავებაზე, აქციების ჩატარებაზე უნდა იხარჯებოდეს. მეორე და უმთავრესი: პარტიების დიდ უმრავლესობას აბსოლუტურად არანაირი რეიტინგი არ გააჩნიათ და მათი არსებობა მხოლოდ ერთი-ორი ლიდერის ცნობადობაზეა დამყარებული. „მეორე რგოლები“ (თუ ასეთები ჰყავთ), ძირითადად ხელმოცარული ხალხია, რომლებმაც თავიანთ პროფესიაში ადგილი ვერ იპოვეს, და დროის გაყვანით და ერთ-ორ კაპიკზე ხელის გამოკვრით „დასაქმდნენ“.

გთავაზობთ იმ ოცეულის ჩამონათვალს, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა ახალი დროის და მცირე გაქანების ავანტიურისტებს წარმოადგენენ... გთავაზობთ აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტიდან მათთვის განკუთვნილ თანხებს.

„საქართველოს კონსერვატიული პარტია“ — წლიური დაფინანსება — 236,572 ლარი. „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ — წლიური დაფინანსება 536,572 ლარი. „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“ — წლიური დაფინანსება — 236,572 ლარი. „ეროვნული ფორუმი“ — წლიური დაფინანსება — 236,572 ლარი. „საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია“ — 598,698 ლარი. „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ — 2,082,238 ლარი. „თავისუფალი დემოკრატები“ — 512,196 ლარი. „საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ — 472,812 ლარი. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ — 1,122,526 ლარი. „ევროპული საქართველო“ — 895,726 ლარი. „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველო“ — 241,625 ლარი. „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“ — 997,037 ლარი. „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ — 744,008 ლარი. „ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი“ — 87,024 ლარი. „თავისუფალი საქართველო“ — 87,024 ლარი. „თავისუფლება — ზვიად გამსახურდიას გზა“, — 87,024 ლარი. „საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა“ — 87,024 ლარი. „ახალი ქრისტიან-დემოკრატები“ — 87,024 ლარი. მოძრაობა „სახელმწიფო ხალხისთვის“ — 195,511 ლარი. „სამოქალაქო პლატფორმა — ახალი საქართველო“ — 195,511 ლარი.

ეს მაშინ, როცა „იუნისეფის“ მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის შედეგებით, საქართველოში ყოველი მეხუთე ბავშვი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს, ხოლო ყოველი მეექვსე არასრულწლოვანი საარსებო მინიმუმზე ნაკლებს მოიხმარს და მშიერია!!!

პოლიტიკანების დაფინანსების თემას, სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული სტატუსით დავამთავრებ: **თანახმა ვარ, რომ ნაცებმაც მიიღონ დაფინანსება ბიუჯეტიდან, მარა იმ მუქთახორებს, რომლებმაც 4%-იც ვერ აიღეს, სულ პანღურები უნდა ურტყა!!!!**

* * *

მეორე საკითხი, რომელმაც კონსტიტუციის სასწრაფო ცვლილების აუცილებლობა გვაჩვენა, არის პარლამენტის კომიტეტებში თავმჯდომარის მოადგილეების არჩევის წესი.

ლაკმუსის ქაღალდად თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის პოსტი გახდა.

როგორც ვიცით, ოპოზიციის მხრიდან წარდგენილი იყო ორი კანდიდატურა. ემზარ კვიციანი, პატრიოტთა ალიანსიდან და ირაკლი აბესაძე, ნაციონალური მოძრაობიდან. თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა, ოპოზიციის კვოტით თავმჯდომარის მოადგილე ვერ აირჩია. მიზეზი ხმების არასაკმარისი რაოდენობა გახდა. „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატს კომიტეტის რვა წევრმა დაუჭირა მხარი და მას აღნიშნული თანამდებობის დასაკავებლად მხოლოდ ერთი ხმა დააკლდა, რადგან არჩევისთვის საკმარისი კვორუმი ცხრა დეპუტატის მხარდაჭერა იყო.

ემზარ კვიციანს კი მხარი კომიტეტის ხუთმა წევრმა დაუჭირა, მათ შორის იყვნენ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე კობა კობალაძე, ასევე კობა ნარჩემაშვილი და ვიქტორ ჯაფარიძე.

სხდომის დასრულების შემდეგ, კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილმა განაცხადა, რომ **არსებობს გარკვეული პოლიტიკური შეთანხმება, რომლის მიხედვითაც საპარლამენტო კომიტეტებში თავმჯდომარის მოადგილეების კვოტები გადანაწილებულია - 15 საპარლამენტო კომიტეტიდან 12-ში თავმჯდომარის მოადგილე „ნაციონალურ მოძრაობას“ და სამი კი „პატრიოტთა ალიანსს“ უნდა ჰყავდეს. „ვინაიდან „პატრიოტთა ალიანსს“ სამივე კვოტა ათვისებული აქვს, სიმპათია-ანტიპათიის მიუხედავად, კომიტეტმა მხარი უნდა დაუჭიროს „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატს“.**

არ დავიწყებ ემზარ კვიციანისა და ირაკლი აბესაძის ერთმანეთთან შედარებას, რადგანაც ეს არა მარტო კვიციანისთვის, არამედ ყველა პატრიოტი და მებრძოლი ადამიანისთვის შეურაცხყოფა იქნება. უბრალოდ ვიტყვი, რომ ირაკლი სესიაშვილის მიერ ნახსენები „გარკვეული პოლიტიკური შეთანხმებით“, პირდაპირ გამოჩნდა ძარღვის, მორალის, ზნეობის არარსებობა.

რას ნიშნავს „გარკვეული შეთანხმება“? ე.ი. რაღაც ფარული, უაზრო შეთანხმების გამო საქართველოს თავდაცვისა და უშიშროების საკითხებზე, გადაწყვეტილებების გამოტანის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა უნდა იყოს იმ პოლიტიკური ძალის წარმომადგენელი, რომელმაც კოდორის ხეობა მტერს ჩააბარა და რომელიც სისხლის სამართლებლივად დევნიდა ამ ხეობის დამცველს?

ეს ხომ იგივეა, ნაძირალა ჩიკატილო ბავშვთა უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ დანიშნო?!

მესამე საკითხი, რომელიც ასევე სასწრაფოდ მისახედია, სახალხო დამცველის არაადეკვატურობაა.

* * *

„სახალხო დამცველმა საკუთარი ინიციატივით შეისწავლა „ვაკის საცურაო აუზის ტერიტორიაზე“ გამოკრული წარწერა: „ძვირფასო ქალბატონებო, კრიტიკულ დღეებში აუზში ჩასვლა აკრძალულია“. მოპასუხის განმარტებით, აღნიშნული აკრძალვა აუზის მოხმარებისას ჰიგიენური ნორმების დაცვის საჭიროებით იყო განპირობებული.

სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ გამოკრული წარწერა გენდერული სტერეოტიპების გამყარებას უწყობს ხელს, ვინაიდან მენსტრუაციული ციკლი არის უნიკალური მდგომარეობა, რომელიც მხოლოდ ქალებისთვის არის დამახასიათებელი და შესაბამისად, „ვაკის საცურაო აუზს“ მიმართა ზოგადი წინადადებით, რომ ჰიგიენური ნორმების დაცვის საჭიროების არსებობის შემთხვევაში, ნებისმიერი ამკრძალავი წარწერა გენდერულად ნეიტრალური ფორმით ჩამოყალიბდეს.“

წესით ამ სისულელეზე უნდა გამცინებოდა, მაგრამ სერიოზულად გავბრაზდი: თუ ეს არსება საქართველოში მეტ გადაცდომას ვერ ხედავს და ამ მარაზმული განცხადებებისთვის იღებს უზარმაზარ თანხებს ბიუჯეტიდან, ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები ნამდვილად ვართ ღირსი, რომ ჩვენი უფლებები ყოველ წუთს დაარღვიოს ბანკმა, პოლიციამ, სასამართლომ, დამსაქმებელმა და საერთოდ ყველამ, ვისაც არ დაეზარება!

მაშინ როდესაც ხუთი შვილის დედა, თავდამსხმელ ინდოელთაგან თავის დაცვის შემდეგ კვლავ ციხეშია და ხარაგაულის რაიონში, ქართველი მუშების ცემა ჩინელ „ინვესტორებს“ 100 ლარი დაუჯდათ, მაშინ როდესაც ონლაინ სესხების კომპანიები და ბანკები მუქარის ზარებითა თუ სხვა კანონდარღვევებით ახორციელებენ მოქალაქეებისგან დავალიანების ამოღებას, მაშინ როდესაც სულხან მოლაშვილის წამების უშუალო მონაწილე გიგა ბოკერია, საქართველოს პარლამენტის წევრია და მაშინ როდესაც „რუსთავი-2“-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია ტერორის მუქარებს ავრცელებს და ქართული ტელესივრცე გამოტენილია ადამიანის გონების წინააღმდეგ მიმართული გადაცემებით, სახალხო დამცველის ამ განცხადების არაადეკვატურად შეფასება, ძალიან რბილია.

* * *

თქვენ წარმოიდგინეთ და ის ყოვლად უზნეო და ამორალური თემები, რომელთა მცირე ნაწილი ჩამოვთვალე და რომლებიც დამოკლეს მახვილად არის აღმართული ჩვენს თავზე, არსებული კანონმდებლობით აბსოლუტურად „გაპრავებულია“.

როდესაც კანონის ძალას, რბილად რომ ვთქვა, არაკეთილსინდისიერი ადამიანები იყენებენ და ამბობენ, რომ კანონით გვაქვს უფლებაო, ეს არის ყველაზე საშინელი და კანონი უნდა შეიცვალოს!

რა მორალი და ზნეობა ჰქონდათ საქართველოს კონსტიტუციის და მთლიანი საკანონმდებლო ბაზის „რეფორმატორებს“, კარგად ვიცით.

მივმართავ მე-9 მოწვევის საკონსტიტუციო უმრავლესობას: **იმიტომ მოგანიჭეთ ამხელა უფლებები, რომ ეს ყველაფერი შეცვალოთ, თორემ ზაზა ნაკაშიძის სკამისგან განსხვავებით, ის სკამები, რომლებზედაც ზიხართ, იატაკზე დაჭედებული არ არის და თავზე გადაგემტვრევათ!**

ძალიან მალე გამოჩნდება, თუ რა განწყობით ხართ შესული პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობის წარმომადგენლები. ძალიან მალე გამოჩნდება.

იცოდეთ, რომ ხალხი, „ოცნების“ ამომრჩეველი უმრავლესობა ყველაფერს ხედავს და ყველაფერს ამჩნევს!

გია გაბრიჭიძე

ოჯახში ძალადობის პირობებში 13 ქალია მოკლული!

მიმდინარე წლის 10 თვის მონაცემებით, ოჯახში ძალადობის პირობებში 13 ქალია მოკლული, — აცხადებს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი. მისივე ინფორმაციით, კვლავ მაღალია ჯანმრთელობის დაზიანებისა და სხვა სასტიკი ფორმებით ჩადენილი ძალადობის რიცხვი. პოლიციამ 2000-ზე მეტ შემთხვევაში გამოიყენა დაცვის ღონისძიება.

„შესწავლის შედეგები ცხადყოფს, რომ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მხრიდან ხშირ შემთხვევაში არ ხდება ძალადობის განმეორების რისკის შეფასება და მსხვერპლის უსაფრთხოების უზრუნველმყოფი ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შემუშავება. არსებული გამოწვევების ფონზე მნიშვნელოვანია, რომ ძალადობის საქმეთა შესწავლისას გათვალისწინებულია ქვეყანაში ქალთა უფლებრივი მდგომარეობის კუთხით არსებული მძიმე ვითარება და ყველა შემთხვევაზე ქმედითი ღონისძიებები გატარდა“, — განაცხადა ნანუაშვილმა.

სახალხო დამცველი მოუწოდებს მთავრობასა და პარლამენტს, ხელი შეუწყონ და დააჩქარონ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრის საკითხებზე ევროსაბჭოს კონვენციის რატიფიცირება. უჩა ნანუაშვილი იუსტიციის სამინისტროს და საქართველოს პარლამენტს მოუწოდებს, მოახდინონ ფემიციდის, როგორც გენდერული ნიშნით მოტივირებული მკვლელობის დეფინიციის განსაზღვრა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში.

ARIAN ადამიანები, რომლებმაც თავიანთი შემოქმედებით, ნიჭიერებით, ქვეყნის სიყვარულით, გამორჩეული ადგილი დაიკავეს ჩვენს მეხსიერებაში. გარდასულ დროთა გახსენებისას გონებაში ამომიტივტივდა 30 წლის წინათ ამ ქვეყნიდან წასული ქართული ეროვნული საკომპოზიტორო სკოლის ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურა სანდრო მირიანაშვილი, რომლის მართლაც ხალხურმა შემოქმედებამ განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა.

მის სიმღერებს ქუჩაში მღეროდნენ

სანდრო მირიანაშვილი დაიბადა კახეთის ერთ-ერთ ულამაზეს ქ. სიღნაღში, 1915 წელს. უმაღლესი მუსიკალური განათლება მიიღო მოსკოვისა და ლენინგრადის კონსერვატორიებში. ლენინგრადში სწავლის დროს მას მოუსწრო მეორე მსოფლიო ომმა. იგი ჩადგა ლენინგრადის დამცველთა რიგებში და ბლოკადის მთელი პერიოდი იქ გაატარა. სამხედრო ნაწილებში ხშირად მართავდა საშეფო კონცერტებს, სადაც მისი შესანიშნავი მუსიკაც ჟღერდა. იმ პერიოდში კომპოზიტორმა შექმნა რამდენიმე ნაწარმოები, მათ შორის „ლენინგრადის ვალსი“, რომელიც ქართული ჟღერადობით გამოირჩეოდა და შემდგომში არაერთ მუსიკალურ საღამოს ამშვენებდა. ერთი საინტერესო ამბავი მოხდა ლენინგრადის ბლოკადის პერიოდში. მუსიკაზე უსაზღვროდ შეყვარებული, ისედაც მშიერ-მწყურვალი სანდრო მირიანაშვილი მთელი თვე ყოველდღიური 125 გრამი პურის ულუფის გარეშე დარჩა. მან პური იოჰან შტრაუსის ორიგინალ ხელნაწერ ნოტებში გაცვალა და ჩვენამდე მოიტანა.

განსაკუთრებით საინტერესოა გასული საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისი, რა დროსაც თანდათან იკვეთებოდა ქართული საესტრადო სიმღერის შექმნისა და განვითარების სრულიად ახალი მიმართულებები.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე აქტიურად ჩაერთო რესპუბლიკის მუსიკალურ ცხოვრებაში. იგი ჭეშმარიტად ახალი მუსიკალური მიმდინარეობის სათავეებთან დგას, რომელმაც თავისი ხელწერა შემოიტანა სასიმღერო ხელოვნებაში და ითვლება ვოკალური საანსამბლო ფორმის (დუეტი, ტრიო, კვარტეტი) ერთ-ერთ ფუძემდებლად. მისი უშუალო ინიციატივითა და ხელმძღვანელობით იქმნება შესანიშნავი საესტრადო ვოკალური ანსამბლები და ჯგუფები, სხვადასხვა მხატვრულ-თვითშემოქმედებითი კოლექტივები.

1952-1956 წლებში ამიერკავკასიის მესაზღვრეთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელია, 1957-1959 წლებში კი საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საესტრადო განყოფილების სამხატვრო ხელმძღვანელი.

განსაკუთრებულია მისი წვლილი მოყვარული თუ პროფესიონალი მომღერლების აღმოჩენა-გამომზეურებაში. რა მოთვლის, რამდენ მომღერალს და ვოკალურ ჯგუფს გაუკაფა დიდი სცენის გზა, რამდენ ახალგაზრდას გაუღვივა სიმღერის ინტერესი და შემდგომში არ დაუკლია მამობრივი მზრუნველობა.

სანდრო მირიანაშვილის საკომპოზიტორო ნიჭიერება სრულად აისახა სასიმღერო ჟანრში. ის 800-ზე მეტი სიმღერისა და რომანსის ავტორია. სწორედ ამ ჟანრის ნიმუშებმა მოუტანეს პოპულარობა და სახალხო სიყვარული. მისი სიმღერები და რომანსები ქართული მიწის სურნელითაა გაჟღენთილი. ამიტომაც უთხრა მას გოგლა ლეონიძემ: „შენ ყური გიდევს ქართულ მიწაზე და იქიდან იკრებ ასეთ შესანიშნავ მელოდიებს და ჰანგებსო“. მართლაც მისი მუსიკა განსხვავებული ხელწერისაა, მელოდიატკბილი, ხალასი და ყველასათვის იოლად გასაგებია. ამაშია სანდრო მირიანაშვილის სიმღერების მომაჯადოებელი ძალა, მისი სიმღერები იმდენად გულში ჩამწვდომი და მასობრივი იყო, რომ ხალხი მას ქუჩებშიც კი მღეროდა.

სიმღერები შექმნილი აქვს ილიას და აკაკის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, ლადო ასათიანის, ნოდარ დუმბაძის, იოსებ ნონეშვილის, მორის ფოცხიშვილს და სხვათა ლექსებზე. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ცა ფირუზი“, „მერი“, „დავდივარ ღამე ბნელადა“, „საყვარელ ქუჩაზე“, „ვით ნიავის ნაზი ფრთები“, „დიელო“, „ნაკადული“, „გიყვარვარ თუ არ გიყვარვარ“, „გაფრენა და გამარჯვება“, „ოდეს გამშორდი“ და სხვა.

სანდრო და გალაკტიონი

50-იანი წლების აფიშა

წლებს გაუძლო და დღესაც დიდი ინტერესითა და უშუალობით ჟღერს სანდრო მირიანაშვილის სიმღერა „მერი“, სადაც მუსიკის ენით, მართლაც ლექსის დონეზე ამეტყველდა დიდი გალაკტიონის შთაგონება, ულამაზესი მერი.

სანდრო მირიანაშვილი თავისი შემოქმედებით უნდა ჩაითვალოს ნოვატორ კომპოზიტორად, რომელმაც სასიმღერო ჟანრში პირველმა შემოიტანა ფორტეპიანოსთან ერთად ქართული ხალხური საკრავები (დოლი, დიპლიპიტო, სალამური). ასეთთა შორისაა სიმღერა „დილაა თუ ბინდია“, სადაც მან ფორტეპიანოსთან ერთად სალამურიც ააჟღერა, რომელსაც შესანიშნავად ასრულებდნენ გია ჭელიძე და გიორგი მოწერელია, აღსანიშნავია აგრეთვე, პირველი კოსმონავტებისადმი მიძღვნილი „გაფრენა და გამარჯვება“ სახალხო არტისტის ელდარ გეწაძის და გელა ქოქიაშვილის შესრულებით, სადაც მან დოლი შემოიტანა და ამით სიმღერას სულ სხვა რიტმი, ხასიათი და ხიბლი შესძინა.

სანდრო მირიანაშვილს დიდი წვლილი მიუძღვის იმდროინდელი ცნობილი საესტრადო ანსამბლებისა და ჯგუფების, კერძოდ — უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური და უცხო ენათა ინსტიტუტების, ქ. თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს თვითმოქმედებითი კოლექტივების წარმატებაში, მათი რეპერტუარის შერჩევა-დახვეწაში. მშობლიური სიღნაღის ხშირი სტუმარი იყო, თითქმის ყველა მუსიკალურ ღონისძიებებში იღებდა მონაწილეობას. მისი მადლიანი მუსიკის შემსრულებელთა შორის უნდა დავასახელოთ ისეთი შესანიშნავი მომღერლები, როგორებიც იყვნენ: მერი შილდელი, ლილი გეგელია, ეთერ კაცობაშვილი, ტატიანა მახარაძე, ემა აფხაზავა, ედიშერ მირიანაშვილი, ჰამლეტ გონაშვილი, გელა ქოქიაშვილი, ეთერ გვაზავა, ციცინო ციცქიშვილი, ნათელა მკირვალიძე, მარინა ჯახუტაშვილი, დები ჩაფიჩაძეები, გია ჭელიძე, გიორგი მოწერელია, ჯილდა დათუაშვილი, ვარვარა ჩახვაშვილი და სხვები. მის სიმღერებს ასრულებდნენ ცნობილი ანსამბლები „დიელო“ და „ორერა“. სანდროს ხშირი სტუმრები იყვნენ სხვადასხვა ჟანრის ხელოვანნი: დრამატურგები, პოეტები, რეჟისორები. მან არაერთი დრამატული თეატრის სპექტაკლი გააფორმა მუსიკალურად.

სანდრო მირიანაშვილის გაკვეთილები და რჩევა-დარიგება არაერთი მომღერლის წარმატების საფუძველი გამხდარა. მახსოვს, რა დაჟინებით სთხოვდა ჰამლეტ გონაშვილს, რომელსაც კლასიკური სიმღერის გაყოლის სურვილი ჰქონდა, დარჩენილიყო ხალხური სიმღერების შემსრულებლად. ჰამლეტს რომ მისთვის არ დაეჯერებინა, ქართული ხალხური ხელოვნება უნიკალურ მომღერალს დაკარგავდა. ამ საქმეში მცირე წვლილი ამ სტრიქონების ავტორსაც მიუძღვის. რამდენი ასეთი მაგალითის დასახელება შეიძლება?

გარდა სიმღერებისა, სანდრო მირიანაშვილს ეკუთვნის საბავშვო ოპერა „რუხი მგელი“, ოპერა „შუშანიკი“, სხვადასხვა ვოკალური ციკლები. დაწყებითი მუსიკალური სკოლების ბავშვებისთვის გამოცემული აქვს საფორტეპიანო პიესების კრებული — 50 ჩუქურთმა.

ცხოვრებაში ხშირია შემთხვევა, როდესაც ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი არ იფარგლება ერთი მიმართულებით. სანდრო მირიანაშვილმა თავისი მუზა მხატვრობაშიც სცადა, სადაც გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია, რამდენიმე გამოფენაც კი მოაწყო.

რესპუბლიკის სახალხო არტისტს სანდრო მირიანაშვილს სურდა, რაც შეიძლება ახლოს ყოფილიყო ხალხთან, განსაკუთრებით ახალგაზრდებთან, რადგანაც მათში ხედავდა საქართველოს მომავალს. მისი შემოქმედება, მთელი მისი პიროვნება პატრიოტული სულით იყო გაჟღენთილი და დამუხტული, ერთთავად ერის სამსახურში იდგა. 1956 წელს თბილისში მომხდარი ცნობილი მოვლენების დროს, იგი ბოლომდე არ მოსცილებია სტუდენტ-ახალგაზრდობას, რისთვისაც რამდენიმე თვე საპატიმროშიც კი მოუწია ყოფნა. ამიტომ იყო, რომ არსებული კომუნისტური მთავრობა სანდრო მირიანაშვილს სულ ეჭვის თვალით უყურებდა და მაინცდამაინც არ სწყალობდა.

მისი ნებისმიერ ღონისძიებაში მონაწილეობა, იუბილე იყო თუ საშეფო კონცერტი, მსმენელთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა, ხალხის დიდი სიყვარულით სარგებლობდა. მისი სიმღერის მელოდია გამოირჩეოდა მღერადობით, უშუალობითა და მარტივი ფაქტურით, ამიტომ სანდრო მართლაც სახალხო კომპოზიტორია. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საკმაოდ თავმდაბალი ადამიანი იყო. მომღერლებს თვითონ ამზადებდა და თვითონვე უკეთებდა აკომპანემენტს, რაც ასე იშვიათია ჩვენს პრაქტიკაში. არასოდეს თაკილობდა პატარა ბავშვებთან ერთად სცენაზე გამოსვლას. არასოდეს ილტვოდა დიდი ჰონორარებისა და ანაზღაურებისაკენ, ფაქტობრივად, უსასყიდლოდ ემსახურებოდა ქართველ ხალხს, ამიტომ ეკონომიურად მუდამ უჭირდა, თუმცა მისგან არ გვახსოვს წუწუნი. სიმართლე რომ ითქვას, ამას არც აქცევდა ყურადღებას, მაინც უშურველად და დაუზარებლად ქმნიდა შესანიშნავ სიმღერებსა და რომანსებს.

აღსანიშნავია სანდრო მირიანაშვილის საქველმოქმედო საქმიანობა. რამდენიმე უძველესი ხატი უსასყიდლოდ გადასცა ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას, თავისი მდიდარი ბიბლიოთეკა, ნახატები, ძველებური უნიკალური ნივთები და საკრავები დროებითი სარგებლობით სიღნაღის რაიონშია გამოფენილი.

მიუხედავად იმისა, რომ ხალხში განსაკუთრებული პოპულარობითა და სიყვარულით სარგებლობდა, სათანადოდ არ იყო დაფასებული მაშინდელი ხელისუფლების მიერ, საერთოდ არ გამოცემულა მისი პოპულარული, მართლაც ეროვნული სულით გაჟღენთილი სიმღერებისა და რომანსების კრებული, მიუხედავად მთავრობის დადგენილებისა, საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დღემდე მოუწყობელია მისი საფლავი.

დროა, ყურადღება მიექცეს დაუმსახურებლად მივიწყებული კომპოზიტორის სანდრო მირიანაშვილის პიროვნებას. გამოიცეს მისი რომანსებისა და სიმღერების კრებული, კომპაქტ-დისკი. ეს შეიძლება, იოლად მოგვარდეს, რადგან ჩაწერილი ფირების ნაწილი ინახება რადიო-ტელევიზიის ფონდში, ნაწილი კი მომღერალ-შემსრულებელთა პირად არქივებში. სასურველია, საქართველოს ტელევიზიებმა გადაცემა მიუძღვნან, ფართოდ გააშუქონ მისი შემოქმედება, კულტურის სამინისტრომ მოაწყოს კომპოზიტორის ხსოვნის საღამო.

სანდრო მირიანაშვილი ის კომპოზიტორია, რომლის შემოქმედებაც ჩვენს დღევანდელობას ეხმიანება. ეროვნული სულით და სითბოთი გაჟღენთილი მისი სიმღერები და რომანსები ჩვენი შვილების, მომავალი თაობის სწორი მიმართულებით აღზრდას, მათი პიროვნული თვისებების გამდიდრებას გამოადგება.

ამდენი დაძაბული და წინააღმდეგობრივი ცხოვრების პირობებში ვფიქრობ, დადგა დრო მივხედოთ პიროვნების სულიერ სამყაროს, მის საზრდოს — ჭეშმარიტად მაღალ ხელოვნებას. ხელოვნება კი არ არსებობს ნიჭიერი ადამიანების გარეშე. ასეთთა შორის მისაბაძ მაგალითად გვევლინება ქართველი ხალხის საყვარელი კომპოზიტორი სანდრო მირიანაშვილი.

გელა ქოქიაშვილი,

ეკონომიკის დოქტორი,
კულტურის დამსახურებული
მუშაკი, ფაზისის საერო აკადემიის
ნამდვილი წევრი, ვანო სარაჯიშვილის
ფონდის ვიცე-პრეზიდენტი

პორტუგალიური ტექსტი დედნის ბწკარედის მიხედვით გადმოაენა გურამ გოგიაშვილმა

91

ის კიდევ ერთხელ ჩაიწერე, რაც უკვე გითხარი, უთხრა დედაქალმა:

ნათლის მხედარს დრო უნდა თავისი თავისთვის.

ის ამ დროს იყენებს დასვენებისთვის, ჭვრეტისთვის, სოფელ-ქვეყნის სულთან ურთიერთობისთვის. ის კი არა, ნათლის მხედარი ფიცხელი შერკინების ჟამსაც კი ახერხებს მედიტაცირებას.



როცა ეს ხდება, იგი ძირს ჯდება, ყოველივესგან განდგომილი, და არცრას აფერხებს, თუ რამ იმის გარშემო ხდება, რათა ყველაფერი თავისი წესითა და რიგით განვითარდეს. როგორც მაყურებელი, იგი უმზერს სოფელ-ქვეყანას და სულაც არ ისწრაფვის, რომ რამე მიამატოს ან დააკლოს. იმას ის უნდა მხოლოდ, რომ მორჩილად და უდრტვინველად მიენდოს ცხოვრების მოძრაობას.

რაც ადრე რთულად ეჩვენებოდა, თანდათან ყოველივე სულ მარტივი ხდება და მაშინ ნათლის მხედრის სულს სიხარული ავსებს.

92

ნათლის მხედარი ფრთხილია იმ ხალხთან, ვინც ფიქრობს ვითომ გზა იცის.

ის ხალხი ისე დარწმუნებულია გადაწყვეტილებების მიღების თავის უნარში, რომ არ ესმის ის ირონია, რა ირონიითაც ბედი თითოეული იმათგანის ცხოვრებას ექცევა. და როს გარდაუვალი კარს მიუკაკუნებს, ყოველივე იმათგანი გულს ასკდება.

ნათლის მხედარს არაერთი ოცნება აქვს, რომელ ოცნებათაც ის წინ მიჰყავთ. მაგრამ შეცდომა არცროდის არ მოუვა, რადგან გზა იოლია, კარი კი ფართეაო, არ ფიქრობს. მან იცის, რომ ცამყარი ისევე მოქმედებს, როგორც მოქმედებს ალქიმია: „Jolve et coagula“, ვითარ ამბობენ ბრძენკაცნი. „იმ მდგომარეობის შესაბამისად, რომელშიც მოხვდი, შენი ენერგია ან ერთ მუშტად შეკარი ან დაქსაქსე“.

93

მახვილის ფლობაში უკვე გაწაფული ნათლის მხედარი ასკვნის, რომ სრული შეიარაღება სჭირდება, და იცის, რომ უაბჯროდ იოლად ვერ წავა.

და გაუყვება გზას იარაღის საშოვნელად, ვაჭრები ხელში ჩაიგდებენ თუ არა, ზოგი რას სთავაზობს და ზოგიც რას.

„მარტოობის ბექთარს გთავაზობ“, – ეუბნება ერთი.

„ცინიზმის ფარი აიფარე“, ურჩევს მეორე.

„ყველაზე უკეთესი ბექთარი ის არის, თუ არაფერში არ ჩაერევი“, – უმტკიცებს მესამე.

მაგრამ ნათლის მხედარი არც ერთს ყურს არ უგდებს.

უშიშრად და მშვიდად მიდის იგი იმ ადგილას, რომელიც წმიდათაწმიდაა იმისთვის, და რწმენის მკვრივ საფარველს იმოსავს.

რწმენა დაიცავს ყოველგვარი დარტყმისგან. რწმენა კამკამა ტენად გადააქცევს საწამლავს.

94

„თელი ცხოვრება მჯეროდა იმისა, რასაც ადამიანები მეუბნებოდნენ, და ნიადაგ ჩასაფრებული მყავდა იმედგაცრუება“, – ხშირად იმეორებენ იმისი ამხანაგები.

ადამიანების ნდობა მნიშვნელოვანი რამ არის, და ნათლის მხედარს არ აშინებს იმედგაცრუება – რამეთუ იცის თავისი მახვილის სიმძლავრე და თავისი სიყვარულის ძალა.

თუმცა მან უწყის თავის შესაძლებლობათა ზღვარი და ესმის, რომ უფლისეული რამ ნიშნის გაცნობიერება და იმის შეგნება, რომ ანგელოზები ჩვენთა მოყვასთა ენაპირით გვხელმძღვანელობენ, – ეს ერთი და იგივეა. და სულ სხვა საქმეა რისამე დამოუკიდებლად გადაწყვეტის უუნარობა და მუდმივი სწრაფვა რისამე ისე საკეთებლად, რომ სხვებმა თქვან, რა ვქნათ, როგორ უნდა მოვიქცეთ ამა თუ იმ შემთხვევაშიო.

ნათლის მხედარი ენდობა სხვებს, რამეთუ უწინარესად თავის თავს ენდობა.

95

ნათლის მხედარი ცხოვრებას უშიშრად და უბოღმოდ უყურებს.

მან იცის, რომ იმის თვალწინ სასწაულია, რომლის სწორ ახსნასაც ერთ მშვენიერ დღეს იპოვის. ხოლო მერე, ნახევრად შებრუნებული, თავის თავს ეუბნება:

„ვითარ ჰგავს ეს წუთისოფელი სიგიჟეს“.

მართალიც არის. ყოველდღიურ სასწაულს მინდობილი, იგი ამჩნევს, რომ ყოველთვის ვერ ითვალისწინებს თავისი ნამოქმედარის შედეგებს. და ხან ისე მოქმედებს, რომ თვითონაც ვერ აცნობიერებს, თუ მოქმედებს, და ხსნასაც ისე აგნებს, რომ ვერ გაუგია, გადარჩენილია თუ არა, და იტანჯება, თავისი დარდის მიზეზთა ვარაუდებში ჩაკარგული.

დიახ, ცხოვრება ნამდვილად სიგიჟეა, მაგრამ ნათლის მხედრის დიდი სიბრძნე იმაში მდგომარეობს, რომ სწორად აირჩიოს სათავისო სიგიჟე.

96

ნათლის მხედარი უმზერს ორ სვეტს. იმ კარის ორსავე მხარეს რომ დგანან, რომელი კარის შეღებასაც აპირებს.

ერთ სვეტს შიში ჰქვია, მეორის სახელი სურვილია. მხედარი პირველს მისჩერებია და კითხულობს ზედ ამოკვეთილ სიტყვებს: „შენ მოხვდები იდუმალი და საშიში სოფელ-ქვეყნის საზღვრის მიღმა, სადაც მოაქჟამამდე რაც აღმოგიჩენია, არც გამოგადგება და ვერც გიშველის“.



მხედარს მზერა მეორე სვეტზე გადააქვს და ახლა იქ ამოკვეთილ სიტყვებს კითხულობს: „შენ ტოვებ საზღვარს შენგან შეცნობილი სოფელ-ქვეყნისას, სადაც, გრჩება ყველაფერი, რაც მუდამ გიყვარდა და რისი გულისთვისაც ყოველთვის იბრძოდი“.

ნათლის მხედარს ეღიმება – რამეთუ არცრას შეუძლია ამქვეყნად იმისი შეშინება და არცრას იმის შეჩერების ძალა არა აქვს.

იმ გულდაჯერებული კაცის რწმენით აღჭურვილი, რომელმაც იცის, რაც უნდა, ნათლის მხედარი თამამად აღებს კარს.

97

ნათლის მხედარი იყენებს ძალიან სასარგებლო ვარჯიშს შინაგანი ბრდისთვის –

იგი ცდილობს, რომ გააზრებულად და ყურადღებით შეასრულოს ყველაფერი, რასაც ჩვენ შეუცნობლად ჩავდივართ – ლაპარაკი მაქვს სუნთქვაზე, თვალის ხამხამზე, გარემოს შემჩნევაზე.

ყოველივე ამას მიმართავს როგორც შფოთვის, ისე დაბნეულობის დროს და ამ გზით თავს ითავისუფლებს დაძაბულობისგან, თავის ალღოს უფრო ლაღად მუშაობის საშუალებას აძლევს – თუ რამ შიში თუ სურვილი აქვს, არცრა ამ მუშაობაში არ ერევა.

და ბოლოს და ბოლოს თავს ადგამს რამდენიმე საკითხს, თითქოს გადაუჭრელი რომ ჩანს, და ყოველივე ცუდი განცდა, რაც გულს უღრღნის და ტანჯავს, ეგრევე უკვალოდ უქრება, თანაც ისე, რომ იგი არცრა ძალისხმევას არ მიმართავს.

როცა კი რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდება ხოლმე, ნათლის მხედარი აუცილებლად ამ ხერხს იყენებს.

98

ნათლის მხედარს ხანუამისად ასეთი ფრაზები ესმის: „მე არ მინდა, განვიხილო გინდა ეს და გინდა ის ამბავი, რადგან ადამიანები შურიანები არიან“.

ის იცინის, როცა ასეთი რამ ესმის. შურს არცრა დაზიანება არ ძალუძს არცროდის, უკეთუ ადამიანი მორჩილად არ აღიქვამს. შური ცხოვრების ნაწილია, და თითოეულს უნდა შეეძლოს იმისი მორევა.

თუმცა ნათლის მხედარი იშვიათად ლაპარაკობს თავის გეგმებზე, და ამიტომ ზოგ-ზოგთ ჰგონიათ, თითქოს შური აშინებდეს იმას.

მაგრამ მან იცის – ყოველთვის, როცა კი იგი თავის ოცნებაზე ლაპარაკობს, ამ ოცნების ენერგიას გარკვეულ ნაწილს იმაზე ხარჯავს, რომ ოცნება სიტყვებით გამოხატოს.

და თუ ხშირად და ვრცლად ილაპარაკე, მთელი ენერგიის უნარჩენოდ დახარჯვის საშიშროება ჩნდება, ასე რომ, ოცნების ასახდენად ხელთ არცრა გრჩება.

ნათლის მხედარმა იცის, რა სიმძლავრისანი არიან სიტყვები.

99

ნათლის მხედარმა იცის, რა მაღალი ფასი აქვს შეუპოვრობასა და გამჭედულებას.

ხშირად ხდება, რომ ბრძოლის ჟამს როგორ დარტყმასაც არ ელოდება, სწორედ ისეთი დარტყმის სამიზნე აღმოჩნდება ხოლმე. და ესმის, რომ, ვიდრე ომია, მოწინააღმდეგე რამდენიმე ბრძოლას მოიგებს. როს მსგავსი რამის მხილველია, ნაღველი თვალს უწყლიანებს და მცირე ხნით გვერდზე მიმდგარი სულს ითქვამს, რათა მცირედად მაინც აღიდგინოს ენერგია. მაგრამ მალევე, უკვე ღონემოცემული, კვლავ ბრძოლის ველზე აღმოჩნდება თავისი ოცნებებისთვის საბრძოლველად.

რამეთუ მხედარმა უწყის, რაც უფრო დიდხანს აერიდება ბრძოლას, მით მეტად იგრძნობს თავს ძაბუნად, მხდალად და გულდედლად.

უკეთუ ცხენიდან ჩამოვარდნილი მხედარი იმავე წამს არ მოახტება უნაგირს, მერე უკვე არცროდის საამისო ვაუკაცობა აღარ ეყოფა.

100

ნათლის მხედარმა იცის, რა რა ღირს.

ის წამიერ წყვეტს, რომ ასე უნდა მოიქცეს და არა ისე, და ამ დროს შთაგონებითა და რწმენით ხელმძღვანელობს.

ზოგჯერ ის ისეთ ადამიანებს ხვდება, რომლებიც იმისთვის ბრძოლას ურჩევენ, რაც ნათლის მხედრისთვის უცხოა, რაც საბრძოლველად არამც და არამც არ იზიდავს. ამ ადამიანებს უნდათ, თავიანთი მიზნისთვის აბრძოლონ იგი და არა თვითონ მხედრის მიზნისთვის.

და ხშირად ეს ადამიანები მხედრის ახლობლები არიან, რომელთაც უყვართ იგი, სწამთ იმისი ძალა, და ამიტომ სთხოვენ დახმარებას.

როცა ასე ხდება, მხედარს ეღიმება, ცდილობს დამტკიცებას, რომ თვითონაც უყვარს ისინი, მაგრამ ეუარება იმათ თხოვნას.

ჭეშმარიტი ნათლის მხედარი მუდამჟამს თავად ირჩევს თავის ბრძოლის ველს.

101

ნათლის მხედარმა დანაკარგის მეცნიერებას თავწყალი გაართვა.

და თუ დამარცხდა, სულაც გულგრილობას არ გამოხატავს მარცხის მიმართ; ერთი არ წამოსცდება „რა ვუყოთ, ამას არცრა მნიშვნელობა არა აქვს ჩემთვის“. ან და „ალბათ, ასე უნდა მომხდარიყო“. ის მარცხს მარცხად აღიქვამს – და დაცარული საქმის გამარჯვებად წარმოდგენას არა ცდილობს.

მან იცის, რა მტკივნეულია იარა, რა მწარედ ასატანია მეგობრის გულცივობა, რა მარტოობას განიცდის ადამიანი ახლობლის დაკარგვის შემდეგ.

ასეთ წუთებში ნათლის მხედარი თავის თავს ეუბნება: „ვიბრძოდი, მაგრამ დავმარცხდი, პირველი ბრძოლა წავაგე“.

და ეს სიტყვები ახალი ძალებით აღავსებენ იმის არსებობას, მან იცის, რომ ქვეყნად არცვინ არის ისეთი, ვისაც ყოველთვის ყველასთვის ყველაფერში ეჯობნოს, და ხელეწიფება თავისი შეცდომების განსხვავება უიღბლო გარემოებათა დამთხვევისაგან.

(გაგრძელება იძნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №212-220

◎ დე, იცოდეს ისტორიამ!!!

დედაუნივერსიტეტში ძალადობის ჟამი გრძელდება

წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც ქართველთა საგმირო საქმეებსა თუ თავსდატეხილ უბედურებას (საბედნიეროდ და სამწუხაროდ, ჩვენი ისტორიის მანძილზე არც ერთი გვაკლდა და არც მეორე) სოფლის უხუცესები, მოხეტიალე მესტვირეები დამკვრელ-დამამღერებლები გვიამბობდნენ. ამას ქართულ-ხალხურ ზეპირსიტყვაობას ვეძახდით და ახლაც ვტკბებით ჩვენი წინაპრების მიერ შემონახული ზეპირი ისტორიით. შიგადაშიგ მეისტორიენიც გამოგვიჩნდებოდნენ და დღემდე შემორჩენილ ეტრატებზე იწერებოდა ჩვენი იმდროინდელი ყოფა.

დიახ, ისტორია ისტორიაა, საქმე ისაა, რამდენად პირუთვნელად, მიუკერძოებლად დაწერ ამას. იგი შთამომავლობას უნდა გადასცე. ამცნო, მისხალ-მისხალ აღწერო, ვინ ქმნიდა ამ შენს ისტორიას, ვინ და როგორ მოგვიყვანა დღევანდლამდე.

„ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო, დროს ტკივილების დაყუჩების უნარიც შესწევსო... ტკივილსაც გააჩნია, თურმე. ის ტკივილი, რომელიც რევოლუციის გზით მოსულმა ხელისუფლებამ მიაყენა ქართულ საუნივერსიტეტო საზოგადოებას, დრომ ვერ დააყუჩა; პირიქით, გაამძაფრა!... ამ ტკივილს მხოლოდ სამართლიანობის აღდგენა მოაშუშებს; დანგრეული უნივერსიტეტის ფეხზე დაყენება მოარჩენს... ამ იმედით გადავწყვიტე ამ წიგნის შედგენა“... – ასე იწყება დედაუნივერსიტეტის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ ამ რამდენიმე დღის წინათ გამოცემული წიგნის – „**დედაუნივერსიტეტის ძალადობის ჟამის**“ წინასიტყვაობა. ჩვენს სახელოვან მეცნიერებს, უნივერსიტეტის აღზრდილებსა და მასზე თავგადაკლულ პიროვნებებს ბატონ **გიორგი გოგოლაშვილსა და ავთანდილ არაბულს** შეუკრებიათ, რამდენიმე ნაწილად დაუხარისხებიათ და გამოუციათ ეს შესანიშნავი წიგნი.

„მართალია, მძრახველს ძრახვა თვით კი ავად მოუხდების, მაგრამ ფარვა სიავისა ქვეყანას არ მოუხდების“.
დავით გურამიშვილი



წიგნი მართლაც შესანიშნავია, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩვენი ისტორიაა, პირუთვნელი, რაოდენ სასტიკი და სამარცხვინოც არ უნდა იყოს, რაოდენ ტკივილიანი და ამაზრზენი, მაინც ჩვენი ისტორიაა, მომავალი თაობებისთვის დაწერილი. ამასთან ერთად საზარელია იმის გაფიქრებაც (მაგრამ რეალობას ვერსად გაექცევი), თუ როგორ აღმართა ქართველმა ხელი საქართველოს „თეთრი ტაძრის“, ქართველთა სულისა და სულიერების სამჭედლოს განადგურებლად, მომავალი თაობების სულის შესარყვნელად, ინტელექტის მოსასპობად. უძველესი საოცრების – ფაზისის, იყალთოსა და გელათის აკადემიების პირდაპირი შთამომავლის, სულმნათ მამულიშვილთა რუდუნებით დაარსებული, აღორძინებული და საქვეყნოდ წარმოჩინებული დედაუნივერსიტეტის დასანგრევად.

ჩვენი სირცხვილია, რომ შესანიშნავ მეცნიერებს ამგვარი წიგნის შექმნისთვის მივეცით საბაბი. რაოდენი ცრემლით იწერებოდა ყოველივე ეს, მაგრამ სინდისი, პატიოსნება და მამულიშვილობის გრძნობა არ აძლევდათ სხვა საშუალებას. ეს უნდა შექმნილიყო და რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, მათ შეძლეს დაანახონ ამ წიგნის წამკითხველებს, ვანდალთა გეგმები, მასონური ზრახვები, ქართველთმოძულეობა და რაც ყველაზე მთავარია, მზაობა იმისა, თუ როგორ უნდა განადგურდეს სულიერად ქართველი ერი.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, წიგნი ოთხი ნაწილისგან შედგება. პირველ ნაწილში წარმოდგენილია 2005-2013 წლებში სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული წერილები, ფაქტები, თუ როგორ ვითარდებოდა მოვლენები იმ მზაკვრული გეგმის შესასრულებლად, რაც რევოლუციური გზით მოსულ, ქართველთმოძულე ხელისუფლებას ჰქონდა ჩაფიქრებული და რასაც ლომაია-ხუბუას ხელმძღვანელობით ასრულებდა კიდეც. **„მეორე ნაწილში „საუნივერსიტეტო დარბაზის“ საქმიანობის ამსახველ ძირითად პუბლიკაციებს მოვუყარეთ თავი და წარმოვადგინეთ დანართის სახით... ესეც ისტორიააო“,** – წერს ბატონი გიორგი გოგოლაშვილი.

მესამე ნაწილში „ბოლონიის პროცესის“ შესახებ იმჟამინდელი რამდენიმე ავტორის წერილია შეტანილი და იმ საინტერესო პროცესის, რომელიც 2006 წლის აგვისტოში გაიმართა და „ხულიგანი პროფესორების“ პროცესის სახითაა ცნობილი. ბოლო ნაწილში კი ამ პროცესის ამსახველ დოკუმენტებს ეხება.

ყველაზე სამწუხარო ისაა, რომ XXI საუკუნის დასაწყისში დედაუნივერსიტეტის ირგვლივ განვითარებული მოვლენების შეფასება არ მომხდარა, მხედველობაში გვაქვს პოლიტიკურ-სამართლებრივი გზა. სწორედ ამ წიგნმა უნდა დააფიქროს ახალი ხელისუფლება და საკადრისი უნდა მიეზღოს ყველას ვინც მიზანმიმართულად ანგრევდა საქართველოს „პირველ ტაძარს“.

არ ვიცი რა ტირაჟით შეძლეს ამ წიგნის გამოცემა ჩვენმა მეცნიერებმა, მაგრამ საჭიროდ ვთვლი, რომ ეს წიგნი არამარტო დედაუნივერსიტეტდამთავრებულთა ოჯახებში, არამედ ყველა ქართველის ოჯახში უნდა იყოს. ესაა წიგნი-ისტორია მზაკვრობისა, ესაა წიგნი-გაფრთხილება ყველა ქართველისთვის და ესაა წიგნი-იმედი, რომ ამგვარი რამ ჩვენს ქვეყანაში არ უნდა განმეორდეს. ეს წიგნი დამოკლეს მახვილივით უნდა ეკიდოს იმათ თავზე, დღესაც რომ ათასგვარი პრივილეგიებით სარგებლობენ და შუბლის ძარღვიც არ უტოკდებათ, არც ინანიებენ იმ დანაშაულს, რითაც დედაუნივერსიტეტსა და ქართველობას ძალადობის ჟამი შეუქმნეს.

ბატონ გიორგი გოგოლაშვილსა და ბატონ ავთანდილ არაბულს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველთა სახელით მადლობა მინდა მოვახსენო ამ წიგნში დაბეჭდილი რამდენიმე სტატიისთვის, რომლებიც ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნდა იმ პერიოდში, როდესაც ეს მოვლენები მიმდინარეობდა და მინდა დავარწმუნო ისინი, რომ ჩვენი გაზეთი მუდამ იბრძოლებს მათ წინააღმდეგ ვინც ხელს აღმართავს დედაუნივერსიტეტის წინააღმდეგ. თქვენს გვერდით გვიგულეთ!

მამუკა ვაშაკიძე

◎ გვეხმაურებიან

გავთავისუფლდეთ ამ სენისგან!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ 2016 წლის 19 ნოემბერს გამოქვეყნებული სარედაქციო წერილის (პარლამენტში ლანძღვა-გინება „გამჭვირვალობა“ და ევროპული დემოკრატია ყოფილა, ქართველი ერის დაავადმყოფება – ნაცების დასავლური მონაპოვარი!) პათოსს სავსებით ვეთანხმები. მისი რეალიზაციისთვის აუცილებელია ქვეყანაში რადიკალურად შეიცვალოს პოლიტიკური ცხოვრების წესი; ხელისუფლებამ, ამ თვალსაზრისით მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინოს სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პიროვნებათა რეკომენდაციები; ქვეყანა უნდა გათავისუფლდეს გრანტიჭამია, ენჯეოებისა და ვითომ პოლიტიკოსებისგან და „მათ დაკრულზე მოცეკვავე“ ნებისმიერი მასობრივი საინფორმაციო საშუალებებისგან! „საზოგადოებამ ის მაინც უნდა შეძლოს, რომ ერთმანეთისგან გაარჩიოს თეთრი და შავი, ჭკვიანი და უჭკუო, ერის შვილი და ძაღლისშვილი, ჭეშმარიტი პატრიოტი და აშკარად მოღალატე...

ქვეყანაში დაუყოვნებლივ, ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს მოქმედი საარჩევნო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს პარლამენტის, საქართველოს მთავრობისა და ხელისუფლების ნებისმიერი შტოს დაკომპლექტებას ყოველგვარი პოლიტიკური გავლენისგან თავისუფალი, განსწავლული, გონიერი, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პიროვნებებისგან.

ამ თვალსაზრისით სასურველია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან, საზოგადოებრივ საწყისებზე, შეიქმნას სახალხო დარბაზი, რომელიც მოამზადებს სათანადო რეკომენდაციებს პოლიტიკური ასპარეზიდან, ანუ ქვეყნის მართვის სადავეებიდან ე.წ. პოლიტიკოსთა ჩანაცვლების ვარიანტს, რათა ამ უკურნებელი სენისგან გათავისუფლების სხვა გზა აღარ ჩანს.

ანზორ ბაბუხადია,
საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი
ღირსების ორდენოსანი,
ნიკო ნიკოლაძის პრემიის ლაურეატი

მარტვილის კანიონის მიმდებარედ თანამედროვე ავტოსადგომი ეწყობა

ავტოსადგომი გათვლილია 150 მსუბუქ ავტომობილზე და 50 ავტობუსზე. პროექტის ფარგლებში, ასევე მოეწყობა ღია პავილიონები, მოსაცდელი ბლოკი, სუვენირების ფარდულები, გარეგანათებები და სველი წერტილები.

მარტვილის კანიონთან ახალი ავტოსადგომის პროექტი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და მარტვილის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 340 000 ლარია. სამშენებლო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია „არქეოპოლისი“ ახორციელებს.

სამშენებლო სამუშაოებზე 60 ადგილობრივია დასაქმებული.

აქამდე მარტვილის კანიონთან პარკირების არარსებობის გამო პრობლემები ექმნებოდათ ადგილობრივ და უცხოელ ტურისტებს.

მარტვილში კანიონის ტურისტული ინფრასტრუქტურა 2016 წელს მოეწყო.

◎ კრიმინალი

შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღო

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების

უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 1980 წელს დაბადებული ე.ხ. თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, ბუპრენორფინის შემცველი ნარკოტიკული საშუალების 122 ფირფიტა ამოიღეს.

ნარკოლოგიური შემოწმების შედეგად, ე.ხ.-ს მეტადონის და მარიხუანას მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2017 წლის 12 იანვარს, 15.00 საათზე, სოფელ ლეჩურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართება მდინარე სტორზე ჰიდროელექტროსადგურის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს მდინარე სტორზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის განხორციელება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

– კომპანიის ოფისში, მისამართი: თბილისი, მიროტაძის №1, შპს „სტორი“ და

– შპს „გოტა21“ ტელეფონი: 599551109

– სოფელ ლეჩურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში, მობ: 551599825

დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსიის გაცნობა ასევე შესაძლებელია შემდეგ ელექტრონულ მისამართებზე: www.moe.gov.ge www.telavi-temi.ge

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა 2017 წლის 12 იანვარი, 14⁰⁰ საათი.

თუ „საქართველოს რესპუბლიკას“ კითხულობთ, მთელი მსოფლიო (რასაკვირველია, საქართველოიანად) ხელისგულზე გიდევთ!..

2017 წლისთვის ხელმოწერა გრძელდება! თქვენი ერთგულების და თანადგომის იმედი გვაქვს, გონიერო მკითხველო!

ზაურ ბოლქვაძე

ჩემო მიწავ

დიდი იყავ... გუარეთ მკერდით,
გკვებეთ ხიხლით, გალბეთ ოფლით...
დღეს ერთად რომ მოვკვდეთ შენთვის,
ხაფლავებად არ გვყოფი!
და რაც დაგვრჩი, — დაგვრჩი მარად,
დაგვრჩი ხორცად, დაგვრჩი ძვლებად;
დაღუმვისგან დაგვიფარავს
მარტო შენი დახიზვრება!
ხაქართველოს გეტრფით მთლიანს,
ხაქართველოს გეტრფით ახალს;
იცოცხლე და, ხულ ერთია,
დიდი ხარ თუ პატარა ხარ!
უფრო მეტი დაგებადოს
ერის მშვენი, ენის მშვენი...
არ ჰყოფნიდეს აკვნებადაც
შვილთა შენთა ტკვნი შენი!..
დიდი იყავ... გუარეთ მკერდით,
გკვებეთ ხიხლით, გალბეთ ოფლით...
დღეს ერთად რომ მოვკვდეთ შენთვის,
ხაფლავებად არ გვყოფი!

საქართველოს რესპუბლიკა 98
(გამოდის 1918 წლიდან)

როგორც მსოფლიო მეცნიერებამ ბოლო დროს დაამტკიცა, ადამიანის ჯანმრთელობა თურმე მხედველობიდან, თვალებიდან იწყება. ესე იგი, უწინარესად თვალებს უნდა გავუფრთხილდეთ. მით უმეტეს, რომ მეცნიერებისავე მტკიცებით, ჩვენი თვალების უპირველესი მტერია ეკრანი — ტელევიზია იქნება ეს თუ განსაკუთრებით კომპიუტერი.

ამიტომ მხედველობის გაფრთხილების უებარი საშუალება და უებარივე წყაროა, ინფორმაციის თვალსაზრისით, ერთ-ერთი რომელიმე სრულყოფილი გაზეთის ან თუნდაც ჟურნალის კითხვა.

ამ მხრივ გამორჩეულად უნდა ჩაითვალოს გაზეთი **„საქართველოს რესპუბლიკა“**, რომლის ფურცლებიც თანამედროვე როგორც საშინაო, ისე საგარეო ცხოვრების მთელ შინაარსს იტევს.

სრულიად თამამად უნდა ითქვას, რომ, რასაც ამ გაზეთში წაიკითხავთ (შრიფტის სიდიდეც კი გათვალისწინებულია), სხვაგან ვერც ერთ გაზეთში ვერ ნახავთ (პოლიტიკა, სოციოლოგია, კულტურა, ხელოვნება, მედიცინა, განათლება, მეცნიერება, სპორტი, იუმორი და სხვ).

„საქართველოს რესპუბლიკის“ ყოველდღიური ერთგული მკითხველი მთელი მსოფლიოს ამჟამინდელი მდგომარეობის სრულ კურსშია.

ამიტომ ჩვენი კეთილი რჩევაა, რომ გამოიწეროთ „საქართველოს რესპუბლიკა“ და ნამდვილად აღარ დაგჭირდებათ მედიის სხვა საშუალებათა ყოველდღიური თვალიერება.

ჩვენი გაზეთი კვირაში 5-ჯერ გამოდის. თვეში 10 ლარი, 6 თვეში 60 ლარი, ხოლო მთელი წელიწადი 120 ლარი ჯდება. დღევანდელ ფასებთან შედარებით, ერთობ იაფია.

ყველაზე სანდო, გამართული ქართულით დაწერილი გაზეთი აქვე გპირდებათ, რომ თქვენი ყოველი შენიშვნა და კეთილი სურვილი აუცილებლად გათვალისწინებული იქნება.

გაზეთს ყოველდღე შინ მოგართმევენ.

გამოწერა შეგიძლიათ:

მაცნე — 2 14 39 06; 2 14 74 22; პლანეტა ფორტე — 2 98 89 90; პრეს+ — 599 24 00 42; ჯეომედია — 593 97 78 88; მერკური — 577 15 78 17; ლიონი — 598 64 23 30.

ხელმოწერა შესაძლებელი და ხელმისაწვდომია თვითონ რედაქციაშიც (სულხან-საბას №3).

◎ კალათბურთი

ილიას ზუროსი:
„უპირველესად, ევრობასკეტს უტრავმებოდ უნდა შევხვდეთ“

უკვე გაუწყეთ, რომ სტამბოლში გამართული კენჭისყრის შედეგად ევრობასკეტის მონაწილე 24 ნაკრები ჯგუფებში განაწილდა. საქართველოს ნაკრები ისრაელის ჯგუფში მოხვდა, რომელიც მასპინძლებთან ერთად ლიტვამ, იტალიამ, გერმანიამ და უკრაინამ შეავსეს. საქართველოს ალტერნატივა იყო ფინეთის ჯგუფში მოხვედრა, სადაც ჩვენი განთესვის კალათიდან სლოვენია წავიდა და მასთან ერთად იქ თავი საფრანგეთმა, საბერძნეთმა, პოლონეთმა, ისლანდიამ და მასპინძელმა ფინეთმა მოიყარეს. საინტერესოა საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის აზრი კენჭისყრის შესახებ. ილიას ზუროსს ესპანეთში შევეხმიანეთ, სადაც ბერძენი სპეციალისტი თავის ახალ კლუბ „ბუდუჩნოსტთან“ ერთად იმყოფებოდა.

— კენჭისყრის შეფასებაზე და ჯგუფების სიძლიერეზე ლაპარაკი ჩვენი ნაკრების მდგომარეობიდან უნდა დავიწყოთ. პირველ რიგში ისაა ჩემთვის მნიშვნელოვანი, რომ მანუჩარ მარკოიშვილი და ვიქტორ სანიკიძე მწყობრში მალე ჩადგნენ და კონდიციებში შევიდნენ, ხოლო სხვა მოთამაშეებმა სეზონი ტრავმების გარეშე ჩაამთავრონ. მთავარია, ყველა ჯანმრთელად იყოს, რის შემდეგაც შეიძლება ჩვენს შესაძლებლობებზე და შანსებზე საუბარი.

— საქართველოს ნაკრებს ორი ვარიანტი ჰქონდა და, თქვენი აზრით, რომელ ჯგუფში ჯობდა, მოხვედრილიყო?

— ახლა იმაზე ლაპარაკი, რომელი ჯობდა, არასერიოზულია. ერთი, რომ ევროპის ჩემპიონატზე სუსტი და ძლიერი ნაკრები არ არსებობს. ყველა სუსტი და ამავდროულად ძლიერია. მეორეც, ჩვენ არ ვიცით, ვინ რა შემადგენლობას მოუყრის თავს. ტრავმების ალბათობაც არსებობს. ამასთან, არის კიდევ სხვა ფაქტორები, რომლის გამოც, შესაძლოა, ნებისმიერი ნაკრების შემადგენლობამ სახე იცვალოს.

— გეთანხმებით, მაგრამ ხომ არსებობენ ფავორიტები...

— ზოგადად, ფურცელზე ჩამოწერილი ჯგუფებიდან ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერია. თუმცა, ვიმეორებ, ფავორიტობა აბსტრაქტული მცნებაა, რადგან ძალიან ხშირად მომხდარა, რომ ფავორიტებს წაუგიათ, ხოლო მათ, რომელიც განწირული ჩანდა, გაუმარჯვიათ. ამიტომაც ჩვენ დიდი სიფრთხილე გვმართებს. ყველა მეტოქე იმაზე მეტად უნდა შევაფასოთ, ვიდრე ის ზოგადად იმსახურებს.

— იმასაც ხომ აქვს მნიშვნელობა, როგორ მოემზადება გუნდი?

— რა თქმა უნდა, კარგად დაგეგმილი მოსამზადებელი პერიოდი დიდად განსაზღვრავს გუნდის შესაძლებლობებს. ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელობამ ამ მხრივ კარგი სამუშაო გასწია გასულ სეზონში და ახლაც ასეა. შეთავაზებები მიღებული გვაქვს, არის რამდენიმე ძალიან კარგი ტურნირის ვარიანტი და საბოლოო შეთანხმებას ველოდებით. ამ ეტაპზე იმის თქმა შეიძლება, რომ საქართველოს ნაკრებს არაერთ უმაღლესი დონის ნაკრებთან მოუწევს ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ პერიოდში თამაში.

— ევრობასკეტზე რა შედეგი იქნება თქვენთვის მისაღები?

— მეამაყება, რომ საქართველოს ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე გავიყვან. მთავარი ისაა, რომ ჩვენი გუნდი ისევ უძლიერესთა შორისაა და ახლა უფრო მეტი გამოცდილებით ხვდება კონტინენტის პირველობას. რა იქნება, ევროპის ჩემპიონატზე გამოჩნდება. ვიცი, რომ ისრაელში ბევრი ქართველი ცხოვრობს და იმედი მაქვს, მხარდაჭერა არ მოგვაკლდება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფრენბურთი

მეტოქეთა ვინაობა გაირკვა

საქართველო B ჯგუფში იტალიას, ხორვატეთსა და ბელარუსს დაუპირისპირდება

გაისად, 22 სექტემბრიდან პირველი ოქტომბრის ჩათვლით საქართველო და აზერბაიჯანი ფრენბურთელ ქალთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს უმასპინძლებს. შეჯიბრების დასკვნით რაუნდში მედლებისთვის 16 გუნდი იბრძოლებს. ბაქოში გამართული წილისყრის შემდეგ ისინი ოთხ ჯგუფში გადანაწილდნენ:

A ჯგუფი (ბაქო). აზერბაიჯანი, გერმანია, პოლონეთი, უნგრეთი.
B ჯგუფი (თბილისი). **საქართველო**, იტალია, ხორვატეთი, ბელარუსი.
C ჯგუფი (ბაქო). რუსეთი, თურქეთი, ბულგარეთი, უკრაინა.
D ჯგუფი (განჯა). სერბეთი, ჰოლანდია, ბელგია, ჩეხეთი.

ჯგუფებში გამარჯვებულები პირდაპირ გავლენ მეოთხედფინალში, ხოლო დანარჩენი ოთხი ადგილისთვის მეორე-მესამეადგილოსნები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. მეოთხედფინალიდან პაექრობები ოლიმპიური სისტემით გაგრძელდება.

გივი გაგუა

◎ ჭადრაკი

საგზურები გაინაწილეს

საქართველოს სხვადასხვა კუთხის 18 წარმომადგენელი მონაწილეობდა მოჭადრაკე ქალთა 74-ე ეროვნული ჩემპიონატის პირველი ლიგის შეჯიბრებაში, რომელსაც უმაღლესი ეშელონის ხუთი საგზურის მფლობელი უნდა დაესახელებინა. ბოლო ტურის წინ ერთი ფინალისტის ვინაობა უკვე ცნობილი იყო — ეს გახლდათ ბათუმელი დიდოსტატი მირანდა მიქაძე, რომელიც უახლოეს მდევრებს ქულით უსწრებდა. ბოლო ტურში იგი საერთაშორისო ოსტატ ანა გავაშელს დაუზავდა. საბოლოოდ ცხრა შესაძლებლობიდან 7 ქულით მან პირველი ადგილი დაიკავა. გამარჯვებულს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩნენ დიდოსტატები — თამარ წერეთელი და სოფიო გევტაძე, რომლებმაც, შესაბამისად, მეორე-მესამე ადგილები გაინაწილეს. 6-6 ქულით მეოთხე-მეხუთე ადგილები ფიდეს ოსტატ ანა კუჭავას და დიდოსტატ ნინო ხურციძეს ერგოთ. გაისად უმაღლეს ლიგაში სწორედ ეს ხუთეული ითამაშებს. ასევე, 6 ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით, მე-6 ადგილი ანა გავაშელს ხვდა.

* * *

გუშინ ნიუ-იორკში გაიმართა მსოფლიოს ჩემპიონობისთვის ვაჟთა ფინალური მატჩის მე-10 პარტია. მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) — სერგეი კარიაკინი (რუსეთი) 1:0.

ამრიგად, ფინიშამდე ორი პარტიით ადრე ანგარიში გათანაბრდა — 5:5.

ლეჭსო ციწცაძე

◎ ჭიდაობა

„თავისუფალთა“ სრული კომპლექტი

საძართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა ბაქოში გამართულ ფინალურ ოქროს გრან-პრიზე 4 მედალი მოიპოვა. ტურნირის ჩემპიონი ზედიზედ მეორედ მძიმეწონოსანი გენო პეტრიაშვილი (125) გახდა, ვერცხლის მედალი ავთანდილ კენჭაძემ (74) მოიპოვა, ბრინჯაოს მედლებს კი გიორგი რევაზიშვილი (61) და დავით მარსაგიშვილი (86) დაეუფლნენ.

ბაქოს ფინალურ გრან-პრიზე მონაწილეობა კვოტირებულია — იქ მხოლოდ ევროპის, მსოფლიოს ან ოლიმპიადის მედალოსნებს იწვევენ. ჩვენმა ნაკრებმა არჩილ ქიტიაშვილისა და ალეკო კახნიაშვილის ხელმძღვანელობით 7-კაციანი გუნდით იასპარეზა და 4 მედალი მოიპოვა, გუნდურ ჩათვლაში კი 41 ქულით მესამე ადგილი დაიკავა.

აღსანიშნავია, რომ 57 კგ-ში ტურნირის გამარჯვებული აზერბაიჯანის სახელით მოასპარეზე თბილისელი ფალავანი გიორგი ედიშერაშვილი (57) გახდა.

იმავე დღეს ხალიჩაზე ოთარ გოგავა (57), დიმიტრი ბასილაშვილი (70) და ელიზბარ ოდიკაძეც (97) გავიდნენ, თუმცა, უმედლოდ დაასრულეს გამოსვლა.

ბაქოს „დიდ პრიზზე“ ჩემპიონი ჯილდოდ 5 000 დოლარს იღებს, მომდევნო ადგილებზე გასულებს კი, შესაბამისად, 3 000 და 1 000 დოლარი ერგებათ. დღეს აზერბაიჯანის დედაქალაქში ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეები იასპარეზებენ.

კობა კობახიძე

◎ სპორტული ტანვარჯიში

თაობა მოდის, ყველასგან მოწონებული

მარიამ თიღილაური ვარჯიშისას

სპორტულ ტანმოვარჯიშეთა საქართველოს ჩემპიონატში თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის 44 წარმომადგენელი მონაწილეობდა. სხვადასხვა თანრიგში გოგონათა და ვაჟთა შორის მედლები მხოლოდ მრავალჭიდში გათამაშდა. ოსტატობის კანდიდატ გოგონებს შორის ორად-ორი მონაწილე იყო. 90.9 ქულით პირველობა მარი ფერაძეს ერგო. ანა შევარდენიძე (ორივე-თბილისი) მას 8.5 ქულით ჩამორჩა. ვაჟებშიც ორმა ტანმოვარჯიშემ იასპარეზა სპორტის ოსტატის პროგრამით. „ოქრო“ საბა აბესაძეს (თბილისი, 143.9), „ვერცხლი“ კი გიორგი ტოგონიძეს (ქუთაისი, 116.9) ხვდა. დანარჩენ თანრიგებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა:

გოგონები

I თანრიგი. 1. ანი გობაძე (ბათუმი, 75.01), 2. მარიამ ბაბუნაშვილი (ქუთაისი, 71.85), 3. ანანო გრიგორჩუკი (ბათუმი, 70.15); **II თანრიგი.** მარიამ ანთაძე (ქუთაისი, 74.65), 2. ლიზი ქორქია (თბილისი, 73.9), 3. ხატია ტუკვაძე (ქუთაისი, 72.55); **III თანრიგი.** 1. თეკლა ხელაია (ქუთაისი, 69.05), 2. მარიამ თიღილაური (თბილისი, 61.85), 3. თინიკო ტყემალაძე (თბილისი, 57.85).

ვაჟები

ოსტატობის კანდიდატი. 1. ბიძინა სიჭინავა (თბილისი, 154.7), 2. ლევან სხილაძე (თბილისი, 142.2), 3. ლაშა გურეშიძე (ქუთაისი, 44.0); **I თანრიგი.** 1. ნიკოლოზ ჭელიძე (103.05), 2. დაჩი დოლიძე (102.95), 3. ვატო დუდუჩავა (სამივე-თბილისი, 100.5) და გიორგი არაშიძე (ბათუმი, 100.5); **II თანრიგი.** 1. ლუკა კვირტია (თბილისი, 109.0), 2. ლევან არაშიძე (ბათუმი, 102.65), 3. გიორგი გერგედავა (თბილისი, 100.85) და გუგა ფხაკაძე (ქუთაისი, 100.85).

-საინტერესო შეჯიბრება იყო, — გვითხრა ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეთა მწვრთნელმა ჯინა გვაჯავამ. — ნიჭიერი თაობა მოდის. ისიც მნიშვნელოვანია, რომ შარშან ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალისთვის ტანვარჯიშის სასახლე აგვიშენეს და პირობები საგრძნობლად გაუმჯობესდა, თუმცა, ზოგიერთი იარაღი გვაკლია, რაც ხელს გვიშლის მუშაობაში. იმედია, ფედერაცია ამ პრობლემას მალე მოაგვარებს. რაც შეეხება ჩემპიონატს, კარგად იასპარეზეს ოსტატობის კანდიდატის პროგრამით მარი ფერაძემ და ანა შევარდენიძემ. ვაჟებში — ბიძინა სიჭინავამ, რომელიც დეკემბრის მეორე დეკადაში მიხაილ ვორონინის თასის გათამაშებაზე გამოვა მოსკოვში. პირველთანრიგოსნებში საუკეთესო იყო ბათუმელი ანი გობაძე, თუმცა, მე მაინც ცალკე მინდა გამოვყო უმცროსი ასაკის გოგონები. სპეციალისტთა მოწონება დაიმსახურეს ქუთაისელმა თეკლა ხელაიამ, თბილისელებმა — მარიამ თიღილაურმა და თინიკო ტყემალაძემ, რომლებსაც საინტერესო პროგრამები ჰქონდათ. შეჯიბრების წინა დღეებში თიღილაური შეუძლოდ იყო, მაგრამ ამის მიუხედავად ხტომები ბოლომდე უნაკლოდ შეასრულა. მარის ავადმყოფობა რომ არა, შესაძლოა, კვარცხლბეკზე ადგილები სხვაგვარად განაწილებულიყო. ამ პატარა გოგონებს დიდი მომავალი აქვთ, ოღონდ მათ სათანადო თანადგომა სჭირდებათ.

ლაშა დიდია

მომავალი ჩემპიონები

სიახლეები საპენსიო კანონმდებლობაში

პენსიის გაცემის, შეჩერების, შეწყვეტისა და განახლების სამართლებრივი საფუძვლები

სანამ უშუალოდ დღევანდელი სტატიის ძირითად თემებზე გადავიდოდეთ და რედაქციაში შემოსულ შეკითხვებზე გავცემდეთ პასუხს, გვსურს, ჩვენი მკითხველის ყურადღება გავამახვილოთ ერთ მნიშვნელოვან სიახლეზე. სახელდობრ:

მას შემდეგ, რაც საქართველოს მოსახლეობისთვის ცნობილი გახდა 2016 წლის პირველი ივლისიდან ასაკით პენსიონერთათვის პენსიის 180 ლარამდე გაზრდის შესახებ, რედაქციას მრავალი ადამიანი მომართავს თხოვნით — ვაცნობოთ ზემოხსენებული თარიღიდან პენსიონერთა კიდევ რომელ კატეგორიას მოემატა პენსია.

სწორედ ამ მიზნით, დაინტერესებულ მკითხველს გასაცნობად ვთავაზობთ „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის №279 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის №294 დადგენილებას, რომელშიც მომატებული პენსიის ოდენობის ჩვენებით, მითითებულია ყველა ის კატეგორია, რომელთაც 2016 წლის 1 ივლისიდან მიეცათ მომატებული პენსია.

ახლა კი, დაპირებისამებრ, პენსიის გაცემის, შეჩერების, შეწყვეტისა და განახლების სამართლებრივი საფუძვლებზე ვისაუბრებთ.

პენსია გაიცემა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ასე, რომ მოქმედი კანონმდებლობით პენსიის მიმღებს სრული უფლება აქვს მოითხოვოს მისი მიღება არა მხოლოდ იმ რაიონში ან ქალაქში, სადაც მუდმივად ცხოვრობს, არამედ რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

პენსიონერს მიმდინარე თვის პენსია მიეცემა იმავე თვეში, ხოლო ბანაზე მიტანა ხორციელდება განსაკუთრებულ შემთხვევაში, მისი წერილობითი განცხადების საფუძველზე. პენსიის გაცემის კონკრეტული ვადები რეგულირდება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და პენსიის გამცემ ორგანიზაციას (ს/ს „ლიბერთი ბანკი“) შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე.

პენსიის მიმღების გარდაცვალების შემთხვევაში გარდაცვალებამდე კუთვნილი (მიუღებელი) საპენსიო თანხები გაიცემა პირველი რიგის კანონით მემკვიდრეებზე (შვილები, მშობლები, მეუღლე) ან სამკვიდრო მოწმობის მფლობელზე (ანდერძით ან კანონით მემკვიდრე). ამასთან, პირველი რიგის მემკვიდრეს გარდაცვლილის კუთვნილი საპენსიო თანხები მიეცემა განცხადების საფუძველზე იმ პირობით, რომ გაცემული თანხა სამკვიდროს გაყოფამდე ერთიანი ქონების სახით ეკუთვნის ყველა თანამემკვიდრეს.

კითხვა: არიან თუ არა ვალდებული პენსიონერის ოჯახის წევრები შეატყობინონ კომპეტენტურ ორგანოებს პენსიონერის გარდაცვალების შესახებ? (ვინაიდან ეს საკითხი ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანია, თუ ვალდებული არიან, მიგვითითეთ აღნიშნულის კანონიერი საფუძველი).

პასუხი: „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 88-ე მუხლის თანახმად, როდესაც პენსიონერი გარდაიცვლება, მისი მეუღლე ან ოჯახის სხვა წევრები, ახლო ნათესავები ან სხვა დაინტერესებული პირები ვალდებული არიან დროულად წარუდგინონ კომპეტენტურ ორგანოს პენსიონერის გარდაცვალების მოწმობა. წინააღმდეგ შემთხვევაში გარდაცვლილი პენსიონერის პირად ანგარიშზე გარდაცვალების შემდეგ ჩარიცხული ან გაცემული თანხები ექვემდებარება დაბრუნებას აღნიშნული თანხის მიმღები ან გარდაცვლილი პენსიონერის მემკვიდრის მხრიდან, სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

> საპენსიო უზრუნველყოფის განსაკუთრებულ წესს ითვალისწინებს კანონი ზოგიერთი კატეგორიის იმ პირთა მიმართ, რომლებიც სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე იმყოფებიან: თუ სააგენტოს მეურვეობა/მზრუნველობის ქვეშ მყოფ არასრულწლოვანს წარმოეშვა ან მოპოვებული აქვს პენსიის მიღების უფლება, სააგენტოს პენსიის გამცემ საბანკო დაწესებულებაში არასრულწლოვანის სახელზე ხსნის საანაბრე ანგარიშს, სადაც ყოველთვიურად ირიცხება პენსიის თანხა.
>
> აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნულ პირობებში საანაბრე ანგარიშზე ჩარიცხული თანხის განკარგვა შესაძლებელია მხოლოდ პირის სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ.

კითხვა: არის თუ არა კანონით გათვალისწინებული ისეთი შემთხვევები, როცა არასრულწლოვანის ანგარიშზე დაგროვილი თანხა ექვემდებარება სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვას?

პასუხი: კანონის თანახმად, არასრულწლოვანის საანაბრე ანგარიშზე დაგროვილი თანხა ექვემდებარება სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვას იმ შემთხვევაში, თუ პირი სრულწლოვანების მიღწევამდე გარდაიცვალა, მაგრამ როდესაც არსებობს ამ პირის პირველი რიგის მემკვიდრე, რომელიც ასევე იმყოფება სააგენტოს მეურვეობა/მზრუნველობის ქვეშ, საანაბრე ანგარიშზე დაგროვილი თანხის გაცემა მოხდება აღნიშნულ მემკვიდრეზე.

* * *

პენსიის შეჩერების საფუძველია შემდეგი გარემოებები:

> საქართველოს მოქალაქის მიერ პენსიის ზედიზედ 6 თვის განმავლობაში მიუღებლობა, ანუ როდესაც არ ხდება მისი კუთვნილი საბანკო ანგარიშიდან თანხის გატანა ზედიზედ 6 თვის განმავლობაში, გარდა სააგენტოს მეურვეობა/მზრუნველობის ქვეშ მყოფი არასრულწლოვანისა. ასევე იმ გარემოების არსებობა, როდესაც საპენსიო ანგარიშებიდან თანხები გაიცემა მინდობილობით და მინდობილობის გაცემიდან 1 წლის გასვლის შემდეგ არ მომხდარა მინდობილობის განახლება. აგრეთვე ისეთი გარემოების არსებობა, როდესაც პირი ახორციელებს პენსიის დეპოზიტზე გადატანას და ერთი წლის გასვლის შემდეგ პირადად არ მიუმართავს პენსიის გამცემი მომსახურე დაწესებულებისათვის შესაბამისი განცხადებით; შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირის შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში დადგენილ ვადაში გადამოწმებაზე საპატიო მიზეზით (საავადმყოფოში, სანატორიუმში ან სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში ყოფნის გამო) გამოუცხადებლობა. საყურადღებოა, რომ გარდა ზემოაღნიშნულისა, სხვა საპატიო მიზეზად ჩაითვლება: შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მუშაობის გრაფიკის დარღვევა ან ფორს-მაჟორული მდგომარეობა (სტიქიური უბედურება, დაუძლეველი ძალა, საგანგებო ან საომარი მდგომარეობა).

კითხვა: რა დროიდან განახლდება პენსიის გაცემა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განმეორებით დადგენის შემთხვევაში?

პასუხი: შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განმეორებით დადგენის შემთხვევაში პენსიის გაცემა განახლდება ასეთი სტატუსის დადგენის დღიდან და პენსიონერს მიეცემა გასული პერიოდისთვის კუთვნილი პენსია, მაგრამ არაუმეტეს ერთი წლისა პენსიის გაცემის შეჩერების დღიდან.

* * *

> რაც შეეხება პენსიის შეწყვეტას, „სახელმწიფო პენსიების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მისი საფუძველი შეიძლება გახდეს შემდეგი გარემოებები: პენსიონერის გარდაცვალება; საჯარო საქმიანობის განხორციელება; პირის საქართველოდან მუდმივად საცხოვრებლად წასვლა; მარჩენალდაკარგული პირების 18 წლის ასაკისთვის მიღწევა; უცხო ქვეყნის მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე პირის საქართველოდან გაძევება; სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლა, როცა პირს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა; შეზღუდული შესაძლებლობის გამო პენსიის დანიშვნისათვის საჭირო შესაბამისი სტატუსის დაკარგვა; შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირის შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში დადგენილ ვადაში გადამოწმებაზე გამოუცხადებლობა, თუ არ არსებობს საპატიო მიზეზი; ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის სამედიცინო კომისიაზე დადგენილ ვადაში გადამოწმების შემდეგ იგივე სტატუსის მინიჭება; საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლა ან საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა; სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე ყოფნა, გარდა ხანდაზმულთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატში, ბავშვთა სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელ დაწესებულებაში და მინდობით აღზრდაში ყოფნისა.

კითხვა: იქნებ აგვიხსნათ. რამდენი წლის გასვლის შემდეგ მოხდება შეჩერებული პენსიის შეწყვეტა და რა შემთხვევაშია შესაძლებელი მისი განახლება?

პასუხი: შეჩერებული პენსიის შეწყვეტა მოხდება შეჩერებიდან 3 წლის გასვლის შემდეგ. აღნიშნულ მიზეზთა გამო პენსიის შეწყვეტის შემთხვევაში პენსია აღარ გაიცემა ამ გარემოებების დადგომის მომდევნო თვიდან, ხოლო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის არსებობის შემთხვევაში — განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან და განახლდება წერილობითი განცხადებისა და საჭირო დოკუმენტების შესაბამის კომპეტენტურ ორგანოში წარდგენის დღიდან.

რუბრიკას უძღვება „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.
ტელ: 595 05 11 77; 593 35 99 09

ხსოვნა

ოთარ კანდელაკი

მძიმე დანაკლისი განიცადა ქართულმა ეკონომიკურმა მეცნიერებამ — მოულოდნელად გარდაიცვალა ცნობილი სპეციალისტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი ოთარ კანდელაკი.

მისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა 1971 წელს, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკური გეოგრაფიის განხრით დამთავრების შემდეგ დაიწყო. 1973-1976 წლებში ოთარ კანდელაკმა სწავლა მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში პოლიტიკური ეკონომიის კათედრის ასპირანტურაში განაგრძო, სადაც შემდგომ, 1979 წელს, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაცია დაიცვა.

მას შემდეგ მისი შრომითი და სამეცნიერო საქმიანობა მუდამ აღმავალი გზით მიდიოდა: დისერტაციის დაცვის შემდეგ იგი სსრკ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან არსებული ფინანსების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი იყო, 1980-1985 წლებში — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკური ეკონომიკის კათედრის დოცენტი, შემდეგ მუშაობა განაგრძო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმში დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო ნაწილში, ასევე იყო მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების კვლევითი ლაბორატორიის უფროსი, ეკონომიკის სამინისტროს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამმართველოს უფროსი, პარლამენტის კვლევითი დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი.

ოთარ კანდელაკს გამოქვეყნებული აქვს ოთხი მონოგრაფია და ოცდაათზე მეტი პუბლიკაცია, 1972 წლიდან პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა როგორც სამშობლოში, ასევე სხვადასხვა ქვეყნის (აშშ, პოლონეთი) წამყვან უნივერსიტეტებში. ბოლო წლებში კი სამეცნიერო-პრაქტიკული მივლინებებით მონაწილეობას იღებდა საერთაშორისო კონფერენციების მუშაობაში ამერიკის შეერთებულ შტატებში, პოლონეთში, ჩეხეთში, ნიდერლანდში, ჩინეთში, იაპონიაში, მალაიზიაში, რუსეთში, უკრაინაში, სომხეთში, აზერბაიჯანში, ბელარუსში, მოლდოვაში, ყირგიზეთში, ესტონეთში.

უზადო მეცნიერული ალღოს, საქმისადმი უსაზღვრო ერთგულებისა და უდიდესი შრომისმოყვარეობის გარდა, ოთარ კანდელაკი საზოგადოების, სამეგობროს გამორჩეული წევრი კიდევ თავისი სილაღით, გულღიაობით, უკიდეგანო სიკეთისა და კაცთმოყვარეობის მონიჭებული მადლის წყალობით იყო. მისი მოულოდნელი გარდაცვალება მართლაც თავზარდამცემი იყო ოჯახისთვისაც, ახლობელ-მეგობრებისთვისაც, კოლეგებისთვისაც, მოკლედ ყველასთვის, ვისაც მუდამ ემახსოვრება და გულით ატარებს მის სითბოს.

მეგობრების სახელით
ოთარ ტურაბელიძე

მამუკა ვაშაკიძე, გიორგი ლაშხი, მალხაზ დვალი ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის, უკეთილშობილესი პიროვნების

ოთარ კანდელაკის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მისი ოჯახის წევრებს.

სანთელი

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტებს, ჩვენს ცნობილ კოლეგებს ლიდა წერეთელსა და ჯაბა ხუბუას სახელოვანი ბებიის, შესანიშნავი პოეტი ქალის, ამაგდარი მოღვაწისა და კოლორიტული პიროვნების

ლიდა სტვილიას

გარდაცვალების გამო.

ნაირა კეკელია, მაია იორამაშვილი, მამუკა ვაშაკიძე სამძიმარს უცხადებენ მეგობარსა და კოლეგას სოფო კერესელიძეს დედამთილის, უკეთილშობილესი ქალბატონის, შესანიშნავი პოეტის

ლიდა სტვილიას

გარდაცვალების გამო.

რედაქცია
„საქართველოს რესპუბლიკაში“
სულხან-საბას ქ. №3. 29 3-13-34; 599 797679

◎ სულიერება

28 ნოემბრიდან ქრისტეშობის მარხვა იწყება



27 ნოემბერს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს მოციქულ ფილიპეს.

ცნობილია, რომ ფილიპე ღვთის სიტყვას ქადაგებდა გალილეაში, შემდეგ – საბერძნეთში, იქ გადასახლებულთა, კერძოდ ებრაელთა შორის.

მოციქულმა ფილიპემ პაექრობაში დაამარცხა იერუსალიმიდან სპეციალურად ჩამოსული ებრაელი პირველმღვდელმთავარი და მისი თანმხლები პირები, ჯერ დააბრმავა ისინი და შემდეგ სასწაულით განკურნა. ბევრმა მათგანმა იწამა ქრისტე... ახალმოქცეულებს ფილიპემ დაუდგინა ეპისკოპოსი ნარკისი. ფილიპე მოციქულმა სახარება იქადაგა პართიაში, სირიში, ლიდიაში, მცირე აზიაში და სხვაგან.

საგულისხმოა ისიც, რომ მოგზაურობაში მას თან ახლდა მისი და მარიანმა. მათ მრავალი ვნება და განსაცდელი გადაიტანეს.

ბოლოს ფილიპე მოციქულ ბართლომესთან და დასთან ერთად ჩავიდა ფრიგიის ქალაქ იერაპოლში, სასწაულმოქმედებით მოაქცია ქალაქის მმართველის მეუღლე, რისთვისაც ფილიპე და ბართლომე ჯვარზე გააკრეს წარმართების ტაძარში. მიწისძვრამ ტაძარი დაანგრია, ხოლო მოციქულები ლოცულობდნენ ნანგრევებში მოქცეული ხალხის გადარჩენისთვის. გადარჩენილებმა ქრისტიანობა იწამეს და მოითხოვეს მოციქულების ჩამოხსნა. მოციქულმა ბართლომემ ისინი მონათლა, ეპიკოპოსიც დაუდგინა...

ფილიპე მოციქული დაასაფლავა მარიამნამ და ბართლომესთან ერთად სომხეთში წავიდა სახარების საქადაგებლად.

რაც შეეხება ქრისტეშობის მარხვის შესახებ ცნობებს, ის IV საუკუნიდან გვხვდება.

ფრიად საინტერესო ცნობებია დაცული X საუკუნის კრების საეკლესიო ოქმებში.

ქრისტეშობის მარხვის დაწყებას გილოცავთ!

გიული ლიპარტია

◎ ანეკდოტები

ყველაფერი ძვირდება ამ საახალწლოდ: სურსათიც, საყოფაცხოვრებო საქონელიც. ეგაა ერთი, კრიზისის გამო ხმელთაშუა ზღვისპირეთში აგარაკებისა და იახტების ფასმა დაიკლო, საშუალოდ, 2-3 პროცენტით! სიხარული მაინც გვეწვია, თანაც მაინცდამაინც იქიდან, საიდანაც მას კაცშვილი არ ელოდა!

* * *

„მე, ბიკენტი ჩიგოგიძემ, წუხელ კაცობრიობა კიდო ერთხელ გადავარჩინე უეჭველ დაღუპვას! არ გჯერათ, ხომ?! მაგრამ, აქამდე ცოცხლები რომ ხართ, აბა თუ უკვირდებით, ბიძიებო?! ჰა?!“

* * *

როცა გინდა ჩადი მეტროში – სულ ხალხითაა გადაჭედილი: ზოგი სამსახურში მიდის, ზოგიც სამსახურიდან შინ ბრუნდება. ესენი როდის მუშაობენ, ვერაფრით გამიგია!

* * *

შუალამისას სამი წლის გოგონა დედიკოსთან მიდის, აღვიძებს და ეუბნება:

– დედიკო, მე უკვე გამოვიძინე!

– კი მაგრამ, შვილო, აბა, ფანჯარაში გაიხედე – ჯერ ხომ ღამეა, ამიტომ ყველას სძინავს!

– მერე რა, ცოტას ვიჯღნავლებ და ყველას მაშინვე გაეღვიძება, – „ამშვიდებს“ დედიკოს საზრიანი ქალიშვილი.

განცხადება

იყიდება დიდი დიღმის პირველ მიკრორაიონში, კლინიკა „იმედიდან“ ორასიოდე მეტრში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალური გალავნით არის შემოღობილი და სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგავითაა განაშენიანებული. ყველა კომუნიკაცია (გაზი, დენი, კანალიზაცია) ჭიშკართანაა მიყვანილი, წყალი კი შეყვანილია. ნაკვეთის ფართობია 1250 კვ. მეტრი. შეიძლება ნახევრის ყიდვაც. ფასი – შეთანხმებით. ტელ.: 598 51 81 35; 599 16 81 71; 599 11 19 11.

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლებიდან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით მდებარე 2433 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი – შეთანხმებით. ტელ.: 599 36 00 35; 599 17 21 21; 599 79 76 79.

◎ ყველაფერი ყველაფერზე

ნუ გეშინია, შენ ბევრი მეგობარი გყავს!..

საუკეთესო ტკივილგამაყუჩებელი საშუალება.. მეგობრობა ყოფილა.

გამოკვლევამ აჩვენა, რომ მათ, ვისაც ბევრი მეგობარი ჰყავს, ტკივილის მიჯნა იმათთან შედარებით, ვინც მარტო ყოფნას ამჯობინებს, გაცილებით მაღალი აქვთ.

სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ეს გარემოება ენდორფინებს უკავშირდება, რომლებსაც ორგანიზმი მაშინ გამოიმუშავებს, როცა ადამიანი სიამოვნებას იღებს. აღმოჩნდა, რომ ეს ნივთიერებები ბლოკავენ ტკივილის შეგრძნებას.

ბანქო ხომ არ გვეთამაშა?!

პაციენტებისთვის, ვისაც ინსულტის შემდეგ ხელები ცუდად ემორჩილებათ, სასარგებლოა როგორც ბანქოს, ასევე სათამაშო მისადგმელებით თამაში. მთავარი ისაა, რომ დატვირთვა ინტენსიური და მუდმივი იყოს, რა დროსაც ერთიანად ხელები და მაჯები გაუჩერებლად მოძრაობენ.

ინსულტგადატანილი 141 ავადმყოფი, რომლებსაც ხელებთან გარკვეული პრობლემები ჰქონდათ, ორ ჯგუფად დაჰყვეს. ერთი ჯგუფის წევრები დღეში თითო საათს სათამაშო მისადგმელებზე, მეორე ჯგუფის წევრები კი ბანქოს თამაშობდნენ.

ორი კვირის შემდეგ მკვლევარებმა ორივე ჯგუფის წევრებში ხელების მოტორიკული ფუნქციების თანაბარი დოზით გაუმჯობესება აღნიშნეს, თანაც ეს პროცესი შემდგომაც გაგრძელდა.

ვიკვებებით შინ, ვმგზავრობთ ავტობუსით

საიმისოდ, რომ ჯანმრთელები დავრჩეთ, საჭირო ოჯახში და არა რესტორნებში ვიკვებოთ, თანაც არა პერსონალური ავტომანქანებით, არამედ საზოგადოებრივი ტრანსპორტით ვიმგზავროთ.

ეს დასკვნა ამერიკელმა და იაპონელმა მეცნიერებმა გამოიტანეს, რომლებმაც დაადგინეს, რომ ოჯახში ორჯერადი კვება 13 პროცენტით ამცირებს დიაბეტის დაავადების რისკს, ყოველდღიურად საზოგადოებრივი ტრანსპორტის მგზავრობა 44 პროცენტით ამცირებს გასუქების, 34 პროცენტით – დიაბეტის, 27 პროცენტით კი ჰიპერტონიით დაავადების რისკს.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსარგებლეებს უპირატესობა აქვთ არა მარტო ავტომანქანებით, არამედ ველოსიპედებით მგზავრებთანაც კი! იმ გარემოებას იაპონელი მკვლევარები იმით ხსნიან, რომ ეს ხალხი საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებამდე მისვლამდე დიდ მანძილებს ფეხით გადის.

ალესანდრო, ფედერიკა და საქართველოს ბიუჯეტის სამუშაო ვერსია

კამათის, გაწევ-გამოწევისა და უთანხმოების მსახვრალი ხელი როდის ვის მიადგება და ჩამოუვლის – არავინ იცის. აი მაგალითად, მთელს იტალიაში თუკი ფეხბურთელ ალესანდრო მატრისა და მისი მეუღლის, მოდელ ფედერიკა ნარჯის თანაცხოვრება სანიმუშოდ ითვლებოდა, დღეს მათი ამბებიც დიდ აბდაუბდაში გადაიხლართა.

საქმე ისაა, რომ ამ ბედოვლათ მატრის თურმე საყვარელი გაუჩენია და აგერ ეს ბოლო ექვსი თვეა იმასთან დასუნსულებს. ფედერიკამ ეს ამბავი ყოვლისგამგები და ყოვლისმცოდნე იტალიური ბულვარული მედიიდან შეიტყო და მეტი მიზეზი, აბა, რა უნდა ქალს, რომელსაც კაცმა არ იცის რატომ უნდა უღალატო?!...

როგორც ქართლში იტყვიან, ამ ამბავმა ალესანდრო მატრი დააყუნცა, ანუ დააღონა და ახლა ბევრს ცდილობს ცოლთან ძველი სიყვარულისა და ტრფიალების აღდგენას, მაგრამ ფედერიკა კვნესის, გული ისე მაქვს დასერილი, როგორც საქართველოს 2017 წლის ბიუჯეტის სამუშაო ვერსიაო.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4852; ევრო - 2.6259;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.0995;
100 რუბლი - 3.8615; თურქული ლირა - 0.7300;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4211;
1000 სომხური დრამი - 5.1937.

ამინდი 26 ნოემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე -8,	დღე +14
მთიანი რაიონები -	ღამე -12,	დღე +8
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე -3	დღე +13
მთიანი რაიონები -	ღამე -8,	დღე +9
თბილისი:	ღამე -3,	დღე +10

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE